საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი

თემატური მოკვლევის ანგარიში

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე

საქართველოს პარლამენტი

თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრები:

გიორგი ჩაკვეტაძე
განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გენრიეტა წიწავა
განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრი

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე

თემატური მოკვლევის ანგარიშზე მუშაობდნენ:

მეგი ჯაფარიძე
განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის აპარატი

გიორგი არზიანი
განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის აპარატი

ნინო ალელიშვილი
მოწვეული ექსპერტი

შინაარსი

შესავალი 5
თავი 1 თემატური მოკვლევის შესახებ 6
1.1 თემატური მოკვლევის მიზანი და ძირითადი კითხვები 6
1.2 თემატური მოკვლევის მეთოდოლოგია 8
თავი 2 საკითხის მიმოხილვა და არსებული მდგომარეობის აღწერა 10
2.1 საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა 10
2.2 საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა 16
ესტონეთი 16
პოლონეთი 23
ფინეთი 26
თავი 3 მოკვლევის პროცესში შემოსული მოსაზრებების და ზეპირი მოსმენების ანალიზი 28
თავი 4 მოკვლევის პროცესში გამოვლენილი მიგნებები 35
თავი 5 რეკომენდაციები 39
შეჯამება 41

შესავალი

2023 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლა, როგორც ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის, ისე დაწესებულებების პერსონალის კვალიფიკაციის კუთხით.

ამ ამოცანის შესასრულებლად, კომიტეტმა ჩაატარა თემატური მოკვლევა სახელწოდებით, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე“.

მოკვლევა დაინტერესებული პირების, კერძოდ, საქართველოში არსებული მუნიციპალიტეტების, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების, საერთაშორისო, არასამთავრობო სექტორისა და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტიური მონაწილეობით შემუშავდა.

მოკვლევის დასრულების შემდეგ მომზადდა ანგარიში, რომელშიც გაანალიზებულია დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული მოსაზრებები, ზეპირი მოსმენის და მუნიციპალიტეტებში გამართული შეხვედრების ფარგლებში განხილული საკითხები, ასევე ამ თემასთან დაკავშირებული კვლევები და სხვა სახის ლიტერატურა. ანგარიშში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ადრეულ და სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო გამოცდილების ანალიზს, რომელიც საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - პარლამენტის კვლევითმა ცენტრმა მოამზადა.

ანგარიში შედგება ხუთი თავისგან: პირველ თავში გადმოცემულია თემატური მოკვლევის არსი და მეთოდოლოგია. მეორე თავში აღწერილია სკოლამდელი განათლების კუთხით არსებული მდგომარეობა, ასევე გაანალიზებულია საერთაშორისო პრაქტიკა სკოლამდელი განათლების მიმართულებით. მესამე თავი წარმოადგენს მოკვლევის შედეგად მიღებული მოსაზრებების ანალიზს. ხოლო მეოთხე და მეხუთე თავები ეძღვნება კვლევის პროცესში გამოკვეთილ მიგნებებსა და რეკომენდაციებს.

ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის პროდუქტს.

მოკვლევა მომზადდა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით.

თავი 1

თემატური მოკვლევის შესახებ

თემატური მოკვლევა, რომელიც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლით განსაზღვრული ინსტრუმენტია, კომიტეტმა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენის შესწავლის მიზნით ჩაატარა.

თემატური მოკვლევის პროცესი მოიაზრებდა დაინტერესებულ მხარეთა მიერ გამოგზავნილი დასაბუთებული მოსაზრებების მიღებას, ზეპირ მოსმენას, რეგიონულ შეხვედრებს და მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შესაბამისი ანგარიშის მომზადებას.

თავი 1.1 მოკვლევის მიზანი და ძირითადი კითხვები

თემატური მოკვლევა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენის შესასწავლად, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ინიციატივაა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს კომიტეტმა ჩაატარა თემატური მოკვლევა „ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე ყველა ბავშვის თანაბარი ხელმისაწვდომობა“. გარდა ამისა, კომიტეტში ფუნქციონირებს სკოლამდელი განათლების საკონსულტაციო საბჭო, რომელიც კომიტეტის სათათბირო ორგანოა და მას სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული გამოწვევების გამოვლენასა და მათზე რეაგირების მექანიზმების დაგეგმვაში, პოლიტიკის განსაზღვრასა და ცალკეული ინიციატივების ანალიზში ეხმარება.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის აქტიურმა მუშაობამ ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულებით, გამოკვეთა ძირითადი საკითხები, რომლებიც სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებდა.

ამ მიზნით, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა გამოიყენა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლით განსაზღვრული ინსტრუმენტი და დაიწყო თემატური მოკვლევა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენის შესასწავლად.

თემატური მოკვლევის მიზნად განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები:

- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენის შესწავლა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე;
- საგანმანათლებლო პერსონალის განვითარების მექანიზმების ეფექტიანობისა და არსებული მეთოდოლოგიური/საგანმანათლებლო რესურსების შეფასება;
- ადრეული და სკოლამდელი ინკლუზიური განათლების გამოწვევების შესწავლა და განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა;
- დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარე გამოწვევების გამოვლენა და დამხმარე მექანიზმების შეფასება.

თემატური მოკვლევის მიზნების შესაბამისად, თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა კითხვარი, რომელიც შეიცავდა 29 ღია შეკითხვას:

ინფრასტრუქტურა

- რა გავლენას ახდენს დაწესებულებების ინფრასტრუქტურა სკოლამდელი განათლების ხარისხიან მიწოდებასა და ბავშვთა ადრეულ განვითარებაზე?
- რა განსხვავება არსებობს ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მხრივ ქალაქებსა და რეგიონებში კერძო და საჯარო დაწესებულებებში?
- რა სახის ინფრასტრუქტურული გამოწვევების წინაშე დგანან დაწესებულებები?
- რამდენად პასუხობს დაწესებულებათა ინფრასტრუქტურა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა მოთხოვნებს, მათი ფიზიკური ადაპტაციისა და განვითარების მხრივ?
- რა დამაბრკოლებელი ფაქტორები მოქმედებს ინფრასტრუქტურის ერთიანი სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელებაზე?
- რა მიდგომები უნდა გამოიყენოს სახელმწიფომ დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გამოწვევების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრისათვის?
- რამდენად უზრუნველყოფს დაწესებულებები სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას?
- რა გამოწვევები შეიძლება წარმოიქმნას ახალი დაწესებულებების მშენებლობის პროცესში, შესაბამისი ტერიტორიის (როგორც ფართის, ასევე ადგილმდებარეობის გათვალისწინებით) გამოყოფის კუთხით და რა მიდგომა შეიძლება გამოიყენოს სახელმწიფომ?
- რა გავლენას ახდენს დაწესებულებების გარე სივრცეების გამოყენება ბავშვთა ადრეულ განვითარებაზე და როგორ შეიძლება მოგვარდეს დიდ ქალაქებში აღნიშნულ სივრცეებთან დაკავშირებული გამოწვევები?
- როგორ შეიძლება მოგვარდეს მაღალმთიან და სოფლის ტიპის დასახლებებში არსებული ინფრასტრუქტურული გამოწვევების საკითხი?

ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსები

- რამდენად უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და უწყვეტი პროფესიული განვითარება/გადამზადების პროცესი?
- რამდენად საკმარისია არსებული აღმზრდელ-პედაგოგთა რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად?
  - რა გავლენას ახდენს სკოლამდელი განათლების სერვისების მიწოდებაზე ადამიანური რესურსების რაოდენობა?
  - რა განაპირობებს კადრების ნაკლებობას და რა გზებს ხედავთ აღნიშნულის გამოსასწორებლად?
- რამდენად ხელმისაწვდომია დაწესებულებების საგანმანათლებლო პერსონალის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული განათლების საფეხურებზე?
- რამდენად ეფექტიანად ხდება დაწესებულებების პერსონალის ინფორმირება და უზრუნველყოფა შესაბამისი მეთოდოლოგიითა და რესურსებით?
- რამდენად შეესაბამება არსებული მეთოდოლოგიური/საგანმანათლებლო რესურსები აღმზრდელ-პედაგოგთა საჭიროებებს და რამდენად ეფექტიანად გამოიყენება ისინი?
- რა გავლენას ახდენს ჯგუფში ბავშვთა რაოდენობა აღმზრდელ-პედაგოგთა მუშაობის ეფექტიანობასა და მათ მოტივაციაზე?
- როგორ შეიძლება შევამციროთ დიდ ქალაქებსა და მცირე დასახლებებს შორის არსებული სხვაობა, აღმზრდელ-პედაგოგთა რაოდენობისა და მათი კვალიფიკაციის კუთხით?
- რამდენად თანაბარია მუნიციპალიტეტების მიხედვით აღმზრდელ-პედაგოგთა ანაზღაურება და რა მიდგომა უნდა გამოიყენოს სახელმწიფომ?
- რამდენად ეფექტიანია ბავშვთა საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის პრაქტიკა და რა უნდა შეიცვალოს ამ კუთხით?

ინკლუზიური ადრეული და სკოლამდელი განათლება

- რამდენად ეფექტიანია სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა იდენტიფიცირების მექანიზმები?
- როგორ შეაფასებდით სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მომუშავე პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ მექანიზმებს და რა ნაბიჯებია გადასადგმელი ამ მიმართულებით?
- სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის რამდენად ხელმისაწვდომია მათ მოთხოვნებზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსები?
- რა ფაქტორები ახდენს გავლენას სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების მიღებაზე?
- რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა იდენტიფიცირებისა და მათი ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად?

დაწესებულებების ავტორიზაცია

- რა გამოწვევები დგას და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ავტორიზაციის პროცესის ეფექტიანი უზრუნველყოფის პროცესში?
- რა გავლენას ახდენს ინფრასტრუქტურულ და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფაზე ავტორიზაციის პროცესი?
- რა სახის მხარდაჭერა ესაჭიროება დაწესებულებებს ავტორიზაციის პროცესში?

თავი 1.2 თემატური მოკვლევის მეთოდოლოგია

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო 2023 წლის 23 ივნისის სხდომაზე და დაამტკიცა მოკვლევის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: მთავარი მომხსენებელი - განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ჩაკვეტაძე, ჯგუფის წევრი - განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრი გენრიეტა წიწავა. ამასთანავე, მოკვლევის პროცესში ჩაერთნენ გაეროს ბავშვთა ფონდის იუნისეფის (UNICEF) კონსულტანტი, ნინო ალელიშვილი და კომიტეტის აპარატი.

კომიტეტის გადაწყვეტილება, პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად, ეცნობა საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ შემუშავებული ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტი განთავსდა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე, მის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში არსებულმა მუნიციპალიტეტებმა, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

თემატური მოკვლევის პროცესში თემატური მოკვლევის ჯგუფმა სულ 73 სუბიექტისგან მიიღო ინფორმაცია, მათ შორის იყო 65 ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს ინფორმაცია. დასაბუთებული მოსაზრებები კომიტეტს მიაწოდეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, მუნიციპალიტეტების ბაგა-ბაღების გაერთიანებებმა და დარგობრივი მიმართულებით მომუშავე ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

თემატური მოკვლევის ფარგლებში, ჩატარდა 2 გასვლითი სამუშაო შეხვედრა გორსა (13.10.2023) და მცხეთაში (07.12.2023). შეხვედრას ესწრებოდნენ გორის, ქარელის, კასპის, ხაშურის, მცხეთის, დუშეთის და თიანეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. შეხვედრებში მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის - მერიისა და საკრებულოს, ისე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების განმახორციელებელი დაწესებულებების და ბაღების გაერთიანებების წარმომადგენლები. შეხვედრების ფარგლებში, მიმოიხილეს თემატური მოკვლევის მიზანი და მიმდინარეობა. ბაღების წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ ესაუბრათ მუნიციპალურ დონეზე ინფრასტრუქტურის და ადამიანური რესურსების მხრივ არსებულ მდგომარეობასა და გამოწვევებზე.

ამასთანავე, თემატური მოკვლევის ფარგლებში, მოკვლევის ჯგუფის წარმომადგენლები, ადგილზე არსებული სიტუაციის შესწავლის მიზნით, ეწვივნენ და დაათვალიერეს შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის შემდეგი ბაღები:

- ხაშურის მუნიციპალიტეტის №7 საბავშვო ბაგა-ბაღი
- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ურბნისის საბავშვო ბაღი
- გორის მუნიციპალიტეტის მე-3 საბავშვო ბაღი
- ქვემო ხვითის საბავშვო ბაგა-ბაღი
- კასპის მუნიციპალიტეტის მე-4 საბავშვო ბაგა-ბაღი
- დაბა თიანეთის №2 საბავშვო ბაღი
- დაბა თიანეთის №1 საბავშვო ბაღი
- დაბა ჟინვალის ბაღი
- დუშეთის №3 საბავშვო ბაღი
- ნატახტარის ბაგა-ბაღი
- ჭიაურის საბავშვო ბაღი
- კართუბნის საბავშვო ბაღი.

აღსანიშნავია, რომ კომიტეტის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ახალაშენებული ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის (გათვლილია 100 ბავშვზე) გახსნის ღონისძიებაშიც. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები, საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის მიზნით, იმყოფებოდნენ ფინეთში, სადაც მათ მიეცათ შესაძლებლობა ადგილზე გაცნობოდნენ ფინეთის სკოლამდელი განათლების სისტემას.

მიღებული წერილობითი მოსაზრებების, ჩატარებული ზეპირი მოსმენების, განხორციელებული ვიზიტებისა და სამაგიდო კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა მიგნებები და ჩამოყალიბდა შესაბამისი რეკომენდაციები.

თავი 2

საკითხის მიმოხილვა და არსებული მდგომარეობის აღწერა

ამ თავში მიმოხილულია საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში არსებული მდგომარეობა. კერძოდ, საკანონმდებლო სისტემა და მოქმედი რეგულაციები, გაანალიზებულია შესაბამისი საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევები. ასევე, მოყვანილია საერთაშორისო პრაქტიკა ესტონეთის, პოლონეთის და ფინეთის მაგალითებზე.

თავი 2.1 საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

სკოლამდელი განათლების ეროვნული სისტემა და სამართლებრივი ჩარჩო

2005 წლამდე საქართველოში არსებული ბაღები უშუალოდ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ იმართებოდა. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს დეცენტრალიზაცია 2005-2006 წლიდან განხორციელდა, მას შემდეგ, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონით სკოლამდელი დაწესებულების შექმნა და მათი წესდებების დამტკიცება მუნიციპალიტეტის კომპეტენციად გამოცხადდა. შესაბამისად, სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და დაფინანსების პასუხისმგებლობაც მუნიციპალურ თვითმმართველობებს დაეკისრათ.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის პირველი სექტემბრიდან, სკოლამდელი აღზრდის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში შესული ცვლილებით აიკრძალა მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში გადასახადის, ტარიფის ან რაიმე სხვა საფასურის შემოღება. საქართველოს პარლამენტმა 2016 წელს მიიღო საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ (შემდგომ-კანონი). კანონი ნათლად მიჯნავს სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში.

2017 წელს კანონის შესაბამისად დამტკიცდა შემდეგი სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები:

- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი;
- აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი;
- დაწესებულებაში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესების მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტი;
- დაწესებულებაში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტი.

2023 წელს კი დამტკიცდა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი (შემდგომ-ავტორიზაციის დროებითი წესი).

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობას კიდევ აქვს რამდენიმე ვალდებულება შესასრულებელი. ამ ვალდებულებებს შორისაა, როგორც აღმზრდელ-პედაგოგის შრომის ანაზღაურების საბაზო ოდენობის განსაზღვრა, ისე შემდეგი დოკუმენტების დამტკიცება:

- დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შენობა-ნაგებობის მოწყობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;
- მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებულებათა რეესტრის წარმოების წესი და ამ რეესტრში შესატანი მონაცემებისა და ინდიკატორების ჩამონათვალი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონის აღსრულების მიზნით, საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ბაღების ინფრასტრუქტურულ განვითარებას. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო კი პასუხისმგებელია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მონიტორინგზე. სამინისტროს ასევე აკისრია სფეროს მეთოდოლოგიური მხარდაჭერაც, რაც საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიური რესურსების შექმნასა და აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების შემუშავებაში გამოიხატება.

აღსანიშნავია, რომ ბაღების ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფისა და რაოდენობის გაზრდის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. 2013-2022 წლებში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით განხორციელდა 18 საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტით - 810 საბავშვო ბაღის მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტი. ამასთანავე, ამ ეტაპზე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მხარდაჭერით მიმდინარეობს 20 საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტი.

მნიშვნელოვანია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივა, რომელიც გულისხმობს 885 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაციას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები უშუალოდ მუნიციპალიტეტების მიერ შეირჩევა, ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, დაგეგმილი 245 საბავშვო ბაღიდან დაკონტრაქტებულია 226 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტი, ხოლო დაგეგმილია - 19 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტი. დამატებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს 6 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტი.

ხელმისაწვდომობა

ადრეული ასაკის ბავშვთა ჩართულობა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა 2005-დან 2018 წლამდე პერიოდში, 45%-დან - 2005 წელს, 78%–მდე - 2018 წელს. ზრდის მაჩვენებელი უფრო მაღალია 3 წლის ბავშვებში. ჩართულობის მაჩვენებელში ცვლილება განსაკუთრებით თვალსაჩინოა სოფლად მცხოვრები ბავშვებისთვის: მონაწილეობის მაჩვენებელი 17%-ით გაიზარდა ქალაქებში, ხოლო სოფლად - 43%-ით.[1] ამ მაჩვენებლის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზი ისიცაა, რომ 2013 წლის პირველი სექტემბრიდან, აიკრძალა სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.[2]

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ „გაეროს ბავშვთა ფონდის“ მხარდაჭერით 2022 წლის ივლისიდან სექტემბრამდე ჩატარებული „ბავშვთა კეთილდღეობის გამოკვლევის“[3] საფუძველზე ვასკვნით, რომ ამ გამოკვლევის ჩატარების წინა სასწავლო წელს (2021-2022), სკოლამდელი ასაკის ბავშვების 72.3% დადიოდა საბავშვო ბაღში, ბავშვების 21.6% არ დადიოდა სკოლამდელი განათლების სასწავლებელში ოჯახის არჩევანის გამო, ხოლო 6.2% ვერ დადიოდა სხვადასხვა ხელისშემშლელი პირობის გამო. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვების სიარულის დონე ჩამოუვარდება MICS 2018-ში მითითებულ შესაბამის დონეს, როცა 77.9% დადიოდა სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში. სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა აქვს სოფლად მცხოვრები ბავშვების 12.4%-ს და ქალაქში მცხოვრებთა 1.1%-ს. სკო-ლამდელი განათლების მიღების ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორებია საბავშვო ბაღის არარსებობა საცხოვრებელი ადგილის სიახლოვეს და ბავშვის მოსაცდელ სიაში ჩასმა.

[1] გაეროს ბავშვთა ფონდი, 2020, ადრეული განვითარება და განათლება საქართველოში.
[2] განათლების კოალიცია, 2020, სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების სფეროში დეცენტრალიზაციის დონე და ტენდენციები.
[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2023, ბავშვთა კეთილდღეობა საქართველოში-2023, ბავშვთა კეთილდღეობა საქართველოში - 2023 | UNICEF Georgia.

ამავე კვლევის თანახმად, ფორმალური განათლების ხარისხით კმაყოფილების დონე ძალიან მაღალია. საბავშვო ბაღში მყოფი ბავშვების 93.6% მშობლები/ოჯახის წევრები კმაყოფილები არიან სკოლამდელი განათლების ხარისხით.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შესახებ მონაცემების მიხედვით, საქართველოს მასშტაბით 2021/22 წლებში ფუნქციონირებდა 1648 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება და ჯამში 154501 აღსაზრდელი იყო ჩართული, ხოლო 2022/23 წლებში 1668 დაწესებულებაში 148658 აღსაზრდელი იღებს სკოლამდელი განათლების სერვისს.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის[4] მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა საბავშვო ბაღების რაოდენობა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, გასული წლების მსგავსად, დაწესებულებების რაოდენობა ვერ ფარავს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სრულ კონტიგენტს, შედეგად, საბავშვო ბაღები კვლავ გადატვირთულია. იკვეთება, როგორც ინფრასტრუქტურულ-ფიზიკური, ისე გეოგრაფიული მისაწვდომობის პრობლემებიც. ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების მიღებასთან დაკავშირებული გამოწვევები, ტერიტორიული მისაწვდომობა, ბილინგვური განათლების სიმცირე და შესაბამისი კადრების ნაკლებობა განსაკუთრებით საყურადღებოა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისთვის. ამაზე მიანიშნებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების ნაწილში ბაღების არარსებობა.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებით, საქართველოს მთავრობის ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს 330 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობასა და 555 უკვე არსებული ბაღის რეაბილიტაციას უმნიშვნელოვანესი იქნება ადრეული და სკოლამდელი განათლების სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხით და ცალსახად დადებითად აისახება ბავშვთა ჩართულობის მაჩვენებლის მატებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ განათლების სისტემის პირველ, ფუნდამენტურ საფეხურზე ხარისხიანი სერვისის მიღების შესაძლებლობა მეტ ბავშვს მიეცემა. ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის არსებულ რეგულაციებთან მისადაგებას. კერძოდ, უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზიური განათლების პრინციპები, კეთილმოეწყობა როგორც შენობები, ისე ეზოები, ყოველივე ეს კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად.

პროფესიული კვალიფიკაცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს პარლამენტმა 2016 წელს მიიღო საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, ხოლო 2017 წელს დაამტკიცა სახელწიფო სტანდარტები, მათ შორის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, რომელშიც გაწერილია ის კვალიფიკაცია და პროფესიული მახასიათებლები, რომელსაც აღმზრდელ-პედაგოგი უნდა ფლობდეს.

ამ სტანდარტის დანერგვის ხელშესაწყობად, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ რიგი ღონისძიებები განახორციელა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიქმნა და დამტკიცდა „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“, რომელიც 66 საათს მოიცავს და აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებისა და პროფესიული განვითარების სავალდებულო ეტაპია. მასში გათვალისწინებულია შემდეგი თემატიკა: ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მნიშვნელობა და ძირითადი პრინციპები, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები და კურიკულუმები, ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებები, ბავშვზე დაკვირვება და შეფასება, მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა, ბავშვთა კეთილდღეობა და ბავშვის უფლებები, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემოს მახასიათებლები, გარემოს უნივერსალური დიზაინი, დღის განრიგი, თამაში და მისი მნიშვნელობა, ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშემწყობი აქტივობები, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი.

[4] საქართველოს სახალხო დამცველი, 2020, სპეციალური ანგარიში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგები, თბილისი.

ტრენინგ-მოდულის პირველი ვერსია 2018 წელს დამტკიცდა. 2018-2019 წწ. ამ მოდულით გადამზადდა სკოლამდელი დაწესებულებების/საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებების 526 მეთოდისტი. ტრენინგ-მოდულის განახლებული ვერსია 2020 წელს დამტკიცდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის №68/ნ ბრძანებით, მისი ონლაინ ვერსია კი - 2021 წლის 13 აგვისტოს, 70/ნ ბრძანებით. განახლებულ ვერსიაში განსაზღვრულია მოთხოვნები მისი მიწოდების მსურველი ორგანიზაციების შერჩევის კრიტერიუმებისა და შერჩევის პროცედურების შესახებ. ამ მოთხოვნების შესაბამისად, ცენტრმა სამჯერ ჩაატარა კონკურსი მსურველი ორგანიზაციების შესარჩევად, გამოვლენილი და გადამზადებულია 12 ორგანიზაცია.

აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის მიმწოდებელი ორგანიზაციების სია:

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- „მწვანე ალუბალი“;
- „კივიტას გეორგიკა“;
- „საქართველოს პორტიჯის ასოციაცია“;
- ა(ა)იპ საქართველოს ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის ასოციაცია;
- ა(ა)იპ „ოთახი ეზოში“;
- ა(ა)იპ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა მშობლებისა და პროფესიონალების კავშირი „ჩვენი ბავშვები“.

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის განმახორციელებელ ორგანიზაციებს 2021 წლიდან დღემდე გადამზადებული ჰყავთ 3027 პირი, მათგან 1895-მა წარმატებით გაიარა ეს ტრენინგ-მოდული.

ამას გარდა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, „ადრეული განათლების კურიკულუმის თამაში“ დანერგვის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სამიზნე მუნიციპალიტეტებში, 2022 წლიდან დღემდე, 24 მუნიციპალიტეტიდან გადამზადებული ჰყავს 584 საგანმანათლებლო პერსონალი და ადმინისტრაციის 201 წარმომადგენელი. ადრეული ინკლუზიური განათლების მიმართულებით კი - 487 პირი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2019 წელს მუნიციპალიტეტების შესაბამისი იურიდიული ერთეულებიდან შემოსული ინფორმაციის მიხედვით, დასაქმებული აღმზრდელებიდან საქართველოს მასშტაბით უმაღლესი განათლება და ოთხწლიანი და მეტი სამუშაო გამოცდილება აღმზრდელის პოზიციაზე მუშაობისა, აქვს 3999 აღმზრდელს, ხოლო პროფესიული განათლება სკოლამდელი განათლების მიმართულებით - 1239 აღმზრდელს. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს განათლებისა და სტაჟის მიმართ, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების შესაბამისი იურიდიული ერთეულებიდან 2019 წელს მიღებული ინფორმაციის თანახმად, აკმაყოფილებდა სულ 5 238 დასაქმებული აღმზრდელი.

მუნიციპალიტეტებიდან 2022 წელს გამოთხოვილი ინფორმაციით, საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულია 8450 აღმზრდელი და 6618 აღმზრდელის თანაშემწე, 1658 მუსიკის პედაგოგი, 669 ფსიქოლოგი, 499 სპეციალური პედაგოგი და 547 მეტყველების თერაპევტი. თუ გავითვალისწინებთ აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი/ბავშვის თანაფარდობის დაცვის პრინციპებს და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კანონს, რომლის შესაბამისადაც, 2-დან 3 წლამდე ჯგუფში არ უნდა იყოს 1:13-ზე მეტი, ხოლო 3-დან 4, 4-დან 5 წლამდე და სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფში 1:15-ზე მეტი, საჭირო იქნება გაცილებით მეტი რაოდენობის საგანმანათლებლო პერსონალი, შეიძლება ითქვას, რომ აღმზრდელ-პედაგოგთა/აღმზრდელთა რაოდენობა და კვალიფიკაცია არ არის საკმარისი.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში არ არსებულა საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ადრეული და სკოლამდელი განათლების სპეციალისტებს მოამზადებდა. გაეროს ბავშვთა ფონდისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეიმუშავეს ადრეული განათლების საბაკალავრო პროგრამები. 2023 წელს სამი უნივერსიტეტის: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამებმა გაიარეს აკრედიტაცია და ამ პროგრამებზე სტუდენტები უკვე მიიღებიან. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე უნივერსიტეტი აკრედიტაციის პროცესშია. მნიშვნელოვანია, რომ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც ამოქმედდეს მსგავსი პროგრამა, რათა მაქსიმალურად შეეწყოს ხელი როგორც თბილისში, ისე რეგიონებში კვალიფიციური კადრების მომზადებას.

ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში მომუშავე პერსონალისთვის, მათ შორის არც აღმზრდელ-პედაგოგებისთვის, არ არსებობს პროფესიული განვითარების სქემა, რაც უარყოფითად აისახება, როგორც მათ კვალიფიკაციაზე, ისე სამუშაო მოტივაციაზე. ასევე, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მიხედვით, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ვალდებულებაა აღმზრდელ-პედაგოგის შრომის ანაზღაურების საბაზო ოდენობის განსაზღვრა (მუხლი 24), რაც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში დასაქმებული თუ პოტენციური კადრებისთვის. როგორც საერთაშორისო კვლევებითაც დასტურდება, ღირსეული ანაზღაურება და უკეთესი სამუშაო პირობები უშუალო გავლენას ახდენს პერსონალის შრომით კმაყოფილებაზე, სამუშაო მოტივაციაზე, რაც აისახება მათი მუშაობის ხარისხზე, ბავშვებთან დამოკიდებულებაზე.[5] პედაგოგების ანაზღაურებასა და მათი მუშაობის ხარისხს შორის კორელაციაზე მიუთითებს კიდევ ერთი საერთაშორისო კვლევა - „კარიერა და სახელფასო სისტემა ადრეულ განათლებაში: ადრეული განათლებისა და ზრუნვის პროგრამებში ხარისხის უზრუნველყოფის მოდელი“,[6] სადაც აღნიშნულია, რომ მაღალი ანაზღაურება უშუალოდ არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიანად წარმართვასთან.

როგორც აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების სქემაზე, ასევე შრომის ანაზღაურების საბაზო ოდენობის განსაზღვრაზე მუშაობს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე პროგრამა „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD)“. პროგრამის ფარგლებში, უკვე ჩატარდა არსებული ანაზღაურების კვლევა და ექსპერტთა ჯგუფი ამჯერად აღმზრდელებისა და აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციების ზრდის შესაბამისად მზარდი ანაზღაურების მოდელის ინსტრუმენტის შექმნაზე მუშაობს.

ავტორიზაცია

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის გამართვის მიზნით, 2022 წლის 23 თებერვალს შესაბამის კანონებში შევიდა ცვლილება და განისაზღვრა ავტორიზაციის მიზნებისთვის გარდამავალი პერიოდი. ცვლილების თანახმად, დაწესებულებების ავტორიზაციის მიზნებისთვის გარდამავალ პერიოდად ითვლება 2030 წლის 1 იანვრამდე პერიოდი. გარდამავალ პერიოდში დაწესებულებების ავტორიზაციას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ამ ეტაპზე ცენტრი ასრულებს კანონით განსაზღვრულ მოვალეობას და პროცესი მიმდინარეობს დადგენილი ვადების დაცვით. პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით:

- აღირიცხა დაწესებულებები და განხორციელდა პირველადი რეგისტრაცია რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში;
- შემუშავდა და მთავრობის მიერ დამტკიცდა ავტორიზაციის დროებითი წესი, ავტორიზაციის სტანდარტები და ინფრასტრუქტურის მინიმალური მოთხოვნები (დადგენილება №76);
- შეიქმნა და მომზადდა ექსპერტთა კორპუსი;

[5] ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD),2012, ხარისხის უზრუნველყოფა ადრეულ განათლებასა და ზრუნვაში.

[6] ჯ. მუნი, ჯ. ბურბანკი, 2004, კარიერა და სახელფასო სისტემა ადრეულ განათლებაში: ადრეული განათლებისა და ზრუნვის პროგრამებში ხარისხის უზრუნველყოფის მოდელი.

- შეიქმნა და მომზადდა ავტორიზაციის საბჭო;
- შეიქმნა და თვითშეფასების ელექტრონული პლატფორმა;
- დასრულდა თვითშეფასების პროცესი. ქვეყანაში მოქმედი 2047 ბაღის თვითშეფასება ხელმისაწვდომია თვითშეფასების ელექტრონულ პლატფორმაზე;
- შეიქმნა, დაიბეჭდა და ყველა დაწესებულებას დაურიგდა ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევი;
- მიმდინარეობს მუშაობა დაწესებულებებისთვის სხვადასხვა მეთოდოლოგიური დოკუმენტის/ გზამკვლევის შემუშავებაზე;
- მუნიციპალიტეტებმა და გაერთიანებებმა გამოყვეს თითო-თითო პირი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები თვითშეფასების პროცესში. ამ პირებისთვის ჩატარდა ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები, როგორც დისტანციურ, ისე პირდაპირ რეჟიმში;
- ცენტრის ფარგლებში ფუნქციონირებს საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს უწყებათაშორის თანამშრომლობის პლატფორმას. ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება/ დოკუმენტი განიხილება ამ ჯგუფთან;
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის, „მუნიციპალური შესაძლებლობების გაძლიერება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლებისა შესახებ კანონის და ეროვნული სტანდარტების განხორციელებაში“, ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტის ბაღების მართვის ერთეულებისთვის (გაერთიანება/სააგენტო) და მერიების წარმომადგენლებისთვის, ავტორიზაციის სტანდარტების და თვითშეფასების თემატიკაზე ჩატარებულია 12 ონლაინ ტრენინგი და 16 ტრენინგი პირისპირ ფორმატში. ტრენინგები ჩატარდა მცირე ჯგუფებისთვის, სადაც დეტალურად იყო განხილული ავტორიზაციის სტანდარტები და თვითშეფასების პლატფორმის კითხვარები;
- 2024 წელი სრულად დაეთმობა დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერებას და ავტორიზაციის პროცესისთვის მათ მომზადებას.

ავტორიზაციის დროებითი წესი განსაზღვრავს 4 სტანდარტს:

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება;
2. კურიკულუმი;
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა;
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ №76 დადგენილების მესამე დანართით დამტკიცებულია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის შესახებ მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ მოთხოვნების შემუშავების პროცესში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართული იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ეს მოთხოვნები, ისევე როგორც სხვა სტანდარტების დეტალური შინაარსი, გაწერილია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევშიც.

ამ ეტაპზე თვითშეფასების პროცესი გაიარა ჯამში 2047-მა დაწესებულებამ, აქედან 1737 საჯარო ბაღია, ხოლო 310 - კერძო. თვითშეფასების განხორციელების ვადა 2023 წლის ბოლომდეა. 2024 წლის იანვრიდან დაიწყო თვითშეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი, რის საფუძველზეც არაუგვიანეს 2024 წლის 1 ოქტომბრისა დამტკიცდება ავტორიზაციის განრიგი, რომლის მიხედვითაც დაწესებულებები გაივლიან ავტორიზაციას.

ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კანონით განსაზღვრული მოთხოვნა - ავტორიზაცია დაგეგმილ ვადაში - 2025-2029 წწ. ეფექტიანად განხორციელდება.

თავი 2.2 საერთაშორისო პრაქტიკა

ქვეყნებში, სადაც ადრეულ განვითარებასა და განათლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ადრეული ასაკის ბავშვთა განათლება საგანმანათლებლო სისტემის საფუძველია, რომელმაც ბავშვი უნდა მოამზადოს სასკოლო საფეხურზე სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად. მისი მთავარი მისიაა ბავშვს სკოლაში წასვლამდე გაუჩინოს სწავლის, თვითდამკვიდრების და საკუთარი პიროვნების განვითარების სურვილი.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებმაც შეიმუშავეს ადრეული ასაკის ბავშვთა ერთიანი ეროვნული სასწავლო პროგრამები და სრულიად ახლებურად განსაზღვრეს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სპეციალისტების საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ბევრ ქვეყანაში სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებისთვის უმაღლესი განათლება საერთოდ არ იყო საჭირო.

საერთაშორისო პრაქტიკის გასაზიარებლად შეირჩა: ესტონეთის, პოლონეთის და ფინეთის განათლების სისტემები. ჩამოთვლილ ქვეყნებში სკოლამდელი განათლების საქმეში ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობა. მათ მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების ძირითადი სტანდარტების შემუშავების და შესაბამისი დაწესებულებების ფუნქციონირების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წარმომადგენლები თემატური მოკვლევის მიმდინარეობისას სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ფინეთში, რათა ადგილზე გაცნობოდნენ ფინეთის განათლების სისტემას.

ესტონეთი

ესტონეთის განათლების სისტემას საუკუნოვანი ისტორია აქვს. ის დაფუძნებულია განათლების ხელმისაწვდომობაზე ყველასთვის, მიუხედავად სოციალური სტატუსისა.

ესტონეთის განათლების სისტემის ფუნქციონირება ეფუძნება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის მკაფიო გადანაწილებას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასა და უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. განათლების სისტემის სახელმწიფო მართვასა და ადმინისტრირებას უზრუნველყოფს განათლებისა და კვლევების სამინისტრო, რომელიც განსაზღვრავს განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებს, ადგენს განათლების სტანდარტებს, შეიმუშავებს ეროვნულ სასწავლო გეგმას (კურიკულუმს) და ზედამხედველობას უწევს განათლების სახელმწიფო პოლიტიკის აღსრულებას. ადრეული სკოლამდელი განათლების სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება. სკოლებს და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მაღალი ხარისხის ავტონომია აქვთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათ შეუძლიათ შეიმუშაონ თავიანთი კურიკულუმი, რომელიც თანხვედრაში უნდა იყოს ეროვნულ დონეზე დამტკიცებულ კურიკულუმთან, თუმცა ამასთანავე უნდა ითვალისწინებდეს ბავშვთა სპეციალურ საჭიროებებს. საგანმანათლებლო დაწესებულებები კურიკულუმს მშობლებთან თანამშრომლობით შეიმუშავებენ.[7]

▸ ადრეული და სკოლამდელი განათლება

სკოლამდელი განათლება ესტონეთის საგანმანათლებლო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი განათლება ნებაყოფლობითია, აღსანიშნავია, რომ 3-დან 7 წლამდე ბავშვების 91.5% დადის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.[8]

2018 წელს ესტონეთმა მონაწილეობა მიიღო OECD-ს ადრეული სწავლებისა და ბავშვთა კეთილდღეობის საერთაშორისო შეფასებაში (IELS),[9] რომლის მიზანია ადრეულ ასაკში განვითარებასა და სწავლებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების გამოვლენა და შეფასება. კვლევის ფარგლებში

[7] OECD, Early Learning and Child Well-Being in Estonia, თავი 2, 2020, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია:24/12/2023].
[8] წყარო: EUROSTAT, Pupils from age 3 to the starting age of compulsory education at primary level by NUTS2 regions - % of the population of the corresponding age, 2021 წლის მონაცემი, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 24/12/2023].
[9] IELS-International Early Learning and Child Well-Being Study.

ფასდება 5 წლის ასაკის ბავშვების ზოგადი კოგნიტური, სოციალური და ფსიქოემოციური უნარები, რაც განვითარების შემდგომ საფეხურებზე ახდენს გავლენას სტუდენტის სასწავლო შედეგებზე.[10]

ცხრილი 1. *IELS 2018, შედეგები, საშუალო ქულა ადრეული წიგნიერებისა და არითმეტიკული უნარების მიხედვით* [11]

ქვეყანა	ადრეული წიგნიერება	ადრეული არითმეტიკული უნარები
ესტონეთი	508	500
ინგლისი	515	529
აშშ	477	471

2018 წლის შეფასებაში ესტონეთთან ერთად მონაწილეობა მიიღო ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (აშშ). შეფასების შედეგების მიხედვით, ესტონელი ბავშვები გამოირჩევიან საკმაოდ დაბალანსებული კოგნიტური და სოციალური უნარებით. ადრეული წიგნიერებისა და არითმეტიკული უნარების მიხედვით ესტონეთი ინგლისის შემდგომ მეორე ადგილს იკავებდა.

ესტონეთში 2014 წლიდან ადრეული სკოლამდელი განათლების სერვისების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტების კომპეტენციაა. ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს 1.5-7 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ადრეული და სკოლამდელი განათლების სერვისების მიწოდება.[12]

ადრეული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ოთხ ჯგუფად იყოფა, საიდანაც პირველი სამი სერვისის მიწოდებაზე პასუხისმგებელია განათლებისა და კვლევების სამინისტრო, ხოლო ბავშვთა ზრუნვის სერვისების მიწოდება სოციალური პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება და, შესაბამისად, სოციალური საკითხების სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება:[13]

- **ადრეული ზრუნვის დაწესებულებები** ე.წ. ბაგა-ბაღი (Creche) - განკუთვნილია 3 წლამდე ბავშვებისთვის;
- **სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება** (Preschool) - განკუთვნილია 3-დან 7 წლამდე ბავშვებისთვის;
- **სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის** - განკუთვნილია 7 წლამდე ბავშვებისთვის, რომელთაც აქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები;
- **ბავშვთა ზრუნვის სერვისების** მიწოდება დაიწყო 2006 წლიდან, სოციალური პოლიტიკის ფარგლებში და მიეკუთვნება სოციალური საკითხების სამინისტროს კომპეტენციას. ბავშვთა ზრუნვის სერვისების მიღება განკუთვნილია ბავშვებისთვის, რომელთაც აქვთ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობები და ესაჭიროებათ რეაბილიტაცია. სერვისების მიწოდება რეგულირდება სოციალური კეთილდღეობის აქტით. ბავშვთა ზრუნვის სერვისების მიმწოდებლები არიან კერძო ან სახელმწიფო პროვაიდერები, რომლებიც ფლობენ შესაბამის ლიცენზიას. სერვისები სრულად ან ნაწილობრივ ფინანსდება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან. დაფინანსების წესები და პირობები განსაზღვრულია სოციალური კეთილდღეობის აქტით, ხოლო დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.[14]

[10] OECD, Education, Early Childhood and Schools, The International Early Learning and Child Well-being Study – The Study, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 24/12/2023].
[11] OECD, IELS 2018 Study, თავი 6, ზოგადი შედეგები, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 24/12/2023].
[12] OECD, Early Learning and Child Well-Being in Estonia, თავი 2, 2020, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 24/12/2023].
[13] იქვე.
[14] სოციალური კეთილდღეობის აქტი, თავი 5, ბავშვთა ზრუნვის სერვისები, ესტონეთი, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 24/12/2023].

ადრეული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების უმეტესობა სახელმწიფო, კერძოდ მუნიციპალიტეტის მფლობელობაშია. თუმცა ასევე არის კერძო დაწესებულებებიც. ადრეული და სკოლამდელი განათლება ნებაყოფლობითია, მაგრამ ესტონეთში სასკოლო ასაკის ბავშვთა 90%-ზე მეტი სარგებლობს ადრეული განათლებისა და სკოლამდელი აღზრდის სერვისებით.[15]

როგორც აღინიშნა, ესტონეთის განათლების სისტემის ძირითადი პრინციპი ყოვლისმომცველობასა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ადრეული და სკოლამდელი განათლების სერვისები ძირითადად სახელმწიფოს მიერ ფინანსდება, მშობლების კონტრიბუცია ე.წ. ადგილისა და კვების გადასახადით შემოიფარგლება, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა ადგენს და განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით, თუმცა არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური ხელფასის 20%-ს.[16] აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში ასევე ექცევა კერძო დაწესებულებები, რომლებიც ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ მუნიციპალური ბიუჯეტიდან. ფინანსური მხარდაჭერის ოდენობას შესაბამისი მუნიციპალიტეტი ადგენს.[17]

აღსანიშნავია, რომ ესტონეთის მიერ ადრეული აღზრდისა და სკოლამდელ განათლებაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები მზარდი ტენდენციით ხასიათდება. თუ 2015 წელს ადრეულ და სკოლამდელ განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯები მშპ-ს 1.15%-ს შეადგენდა,[18] 2020 წელს ანალოგიური მაჩვენებელი მშპ-ს 1.37%-მდე გაიზარდა.[19]

- **საკანონმდებლო ჩარჩო და ძირითადი მოთხოვნები**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის შესახებ ძირითადი მოთხოვნები და წესები განსაზღვრულია შემდეგი დოკუმენტებით:

- **ესტონეთის რესპუბლიკის განათლების აქტი**[20] - დოკუმენტი განსაზღვრავს განათლების სისტემის მოწყობისა და ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს. განათლების აქტის თანახმად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდა უნარების, გამოცდილების, ცოდნისა და ქცევის ნორმების ერთობლიობაა, რომელიც ქმნის საფუძველს განათლების შემდგომ საფეხურებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად;[21]
- **აქტი ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შესახებ** - რომელიც არეგულირებს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული დაწესებულებების საქმიანობას; ამ აქტში განსაზღვრულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ტიპები;
- ჯგუფების დაკომპლექტების ძირითადი პრინციპები, დაარსების წესები და პასუხისმგებლობები ადგილობრივ თვითმმართველობასა და სხვა მხარეებთან;
- კერძო დაწესებულებების საქმიანობა რეგულირდება **კერძო სკოლების შესახებ აქტით**;
- **სოციალური კეთილდღეობის აქტი** განსაზღვრავს ბავშვზე ზრუნვის (childcare service) სერვისების მიწოდების პირობებს. ბავშვზე ზრუნვის სერვისები ფინანსდება სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ფარგლებში და მიეწოდება შერჩეული დამოუკიდებელი პროვაიდერების მიერ. სერვისების მიწოდებას ზედამხედველობას უწევს სოციალური საკითხების სამინისტრო.

ადრეული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შეიძლება დააარსონ მუნიციპალიტეტმა[22] ან კერძო პროვაიდერმა.[23] სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება უნდა ფლობდეს შესაბამის ლიცენზიას, რომელსაც გასცემს განათლებისა და კვლევების სამინისტრო. ამასთანავე, უნდა ჰქონდეს კურიკულუმი, რომელიც მისადაგებული იქნება ეროვნული კურიკულუმით დადგენილ

[15] European Commission, Eurydice, National Education Systems, Estonia, Early Childhood Education and Care, თავი 4.2, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 24/12/2023].
[16] European Commission, Eurydice, National Education Systems, Estonia, Early Childhood Education and Care, თავი 4, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 24/12/2023].
[17] ესტონეთის განათლებისა და კვლევების სამინისტრო, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 25/12/2023].
[18] OECD, Early Learning and Child Well-Being in Estonia, თავი 2, 2020, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 24/12/2023].
[19] European Commission, Eurydice, National Education Systems, Estonia, Funding in Education თავი 3, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 24/12/2023].
[20] Republic of Estonia Education Act, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 25/12/2023].
[21] იქვე, მუხლი 14.
[22] Preschool Childcare Institutions Act, თავი 2, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 25/12/2023].
[23] Private School Act, Estonia, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 25/12/2023].

პრინციპებთან. ამასთანავე, დაწესებულების შესახებ ინფორმაცია უნდა დარეგისტრირდეს ესტონეთის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ეს სისტემა აერთიანებს საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის ლიცენზიებს, სასწავლო და დამხმარე პერსონალის შესახებ ინფორმაციას, სტუდენტების, ასევე, გამოყენებული სასწავლო რესურსების შესახებ მონაცემებს. სისტემა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას გადაამოწმოს სასწავლო დაწესებულების საქმიანობა სხვადასხვა ინდიკატორის მიხედვით.[24]

▶ ინფრასტრუქტურული მოწყობა

ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ აქტით განსაზღვრულია ზოგადი მოთხოვნები დაწესებულების მიმართ. იმისთვის, რათა დაწესებულება დაფუძნდეს და მიიღოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის სერვისების მიწოდების უფლება, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი შენობა და გარე ინფრასტრუქტურა, სადაც დაცული იქნება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები.[25]

ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნები ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის განსაზღვრულია **დამოუკიდებელი აქტით**.[26] ამ აქტის მიხედვით, უშუალოდ შენობა და დაკავშირებული ინფრასტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო რეგულაციებით განსაზღვრულ უსაფრთხოების სტანდარტებს. ამასთანავე, ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები განთავსებული უნდა იყოს ჰაერის დამაბინძურებელი წყაროებისგან მოშორებით, ასევე დაცული უნდა იყოს ხმაურისგან. ამავე აქტით განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა იყოს განთავსებული ძირითადი სივრცეები და ოთახები, ასევე ის მინიმალური ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვებისთვის ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოს.[27]

▶ ჯგუფების ზომა და სასწავლო პერსონალის რაოდენობა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრულია კანონით და განსხვავდება დაწესებულების ტიპის მიხედვით.[28]

- ადრეული ზრუნვის დაწესებულებებში (3 წლამდე ასაკის) - ერთ ჯგუფში ბავშვთა მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 14-ს
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში (3-7 წლამდე ასაკის ჯგუფები) - ერთ ჯგუფში ბავშვთა მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 18-ს
- შერეული ჯგუფები (3-წლამდე და 3-7 წლამდე ასაკის შერეული ჯგუფები) -შერეული ჯგუფები შეიძლება შეიქმნას მშობლების მოთხოვნით, ასეთ შემთხვევაში ერთ ჯგუფში ბავშვთა მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20-ს.

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა ადრეული აღზრდის დაწესებულებებში ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:[29]

- შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მქონე ბავშვებისგან დაკომპლექტებული ჯგუფებისთვის, ბავშვთა მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 12-ს
- განვითარების სპეციფიკური დარღვევების მქონე სამკურნალო ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 12-ს
- მენტალური და გონებრივი დარღვევების მქონე ბავშვებისთვის შექმნილ განვითარების ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 7-ს
- სენსორული დარღვევების მქონე ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10-ს

---

[24] Republic of Estonia Education Act, ნაწილი 91, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 25/12/2023].
[25] Preschool Childcare Institutions Act, თავი 2, მუხლი 11, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 25/12/2023].
[26] Health protection requirements for the land area, buildings, premises, furnishings, indoor climate and maintenance of preschool institutions, 2011, ესტონეთის მთავრობა, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 25/12/2023].
[27] იქვე, მუხლი 3.
[28] Preschool Childcare Institutions Act, თავი 1, მუხლი 7, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 25/12/2023].
[29] იქვე.

- მრავალმხრივი დარღვევების, ასევე აუტიზმის სპექტრის მქონე ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4-ს.

მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, საჭიროებისამებრ, შესაძლოა შეიქმნას ინტეგრირებული ჯგუფები, სადაც სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები სხვა ბავშვებთან ერთად ისწავლიან.[30]

ზოგადი მოთხოვნები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პერსონალთან დაკავშირებით განსაზღვრულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შესახებ აქტით[31], რომლის თანახმადაც, დაწესებულების პერსონალი უნდა შედგებოდეს მასწავლებლების, მასწავლებელთა ასისტენტების, ჯანდაცვის პროფესიონალებისა და ადმინისტრაციული პერსონალისგან. ამასთანავე, უფრო დეტალურად სასწავლო და ადმინისტრაციული პერსონალის შემადგენლობის შესახებ მოთხოვნები განსაზღვრულია მინისტრის ბრძანებით.[32]

ამავე აქტის თანახმად, ერთ ჯგუფში აუცილებლად უნდა იყოს განაწილებული მასწავლებელი და მასწავლებლის ასისტენტი. სასწავლო პერსონალის რაოდენობა დამოკიდებულია ჯგუფის ზომაზე, კერძოდ, 3-წლამდე ასაკის ბავშვებისგან შემდგარ ჯგუფში როგორც მასწავლებელთა, ისე ასისტენტთა რაოდენობის ფარდობა ჯგუფის ზომასთან უნდა იყოს 1:7-ზე, ხოლო 3 წლის და უფრო მაღალი ასაკის ჯგუფებში მასწავლებელთა და ასისტენტთა ფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან უნდა იყოს 1:10.[33]

მინისტრის ბრძანების თანახმად, დაწესებულებას უნდა ჰყავდეს დირექტორი და ხელმძღვანელი. ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვრება ჯგუფების პროპორციულად. კერძოდ, 5-6 ჯგუფის არსებობის შემთხვევაში იქმნება ნახევარი საშტატო ერთეული, ხოლო უფრო მეტი ჯგუფის არსებობის შემთხვევაში - ერთი სრული საშტატო ერთეული.

სხვა დამხმარე სასწავლო პერსონალის (მუსიკა, ფიზიკური აღზრდა, ცურვა) საშტატო რიცხოვნობა ასევე დამოკიდებულია ჯგუფების რაოდენობაზე. კერძოდ, 2 წლის და უფრო მაღალი ასაკის ბავშვთა ჯგუფების შემთხვევაში, ყოველ 2 ჯგუფზე განსაზღვრულია მუსიკის მასწავლებლის, ფიზიკური აღზრდისა და ცურვის (ცურვის კლასების არსებობის შემთხვევაში) მასწავლებლის 0.25 საშტატო ერთეული. იმ შემთხვევაში, თუ მუსიკისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს ჯგუფზე მიმაგრებული მასწავლებელი ატარებს, მაშინ ამ პოზიციების არსებობა სავალდებულო არ არის.[34]

სწავლების პროცესი ადრეული აღზრდის ნაწილია. შესაბამისად, 3-7 წლის ასაკის ჯგუფებისთვის გამოყოფილი უნდა იყოს ესტონური ენის მასწავლებლის პოზიცია. საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება ჯგუფების პროპორციულად, კერძოდ 0.25 საშტატო ერთეული ყოველ 2 ჯგუფზე.[35]

სპეციალური საჭიროების მქონე ჯგუფებისთვის აუცილებელია სპეციალიზებული პედაგოგისა და ლოგოპედის (speech therapist) არსებობა. საშტატო ერთეულის რაოდენობა დამოკიდებულია ბავშვთა რაოდენობასა და ჯგუფის შემადგენლობაზე. შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე ჯგუფების შემთხვევაში დაწესებულებას ყოველ 10 ბავშვზე უნდა ჰყავდეს გამოყოფილი 1 ლოგოპედი. განვითარებისა და სხვა სახის დარღვევების მქონე ჯგუფებისთვის ყოველ ჯგუფზე უნდა იყოს გამოყოფილი სპეციალიზებული მასწავლებლის 0.5 და ლოგოპედის 0.2 საშტატო ერთეული.[36]

- **საკვალიფიკაციო მოთხოვნები სასწავლო პერსონალის მიმართ**

სასწავლო პერსონალის მიმართ ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნაა უმაღლესი განათლება და ესტონური ენის ცოდნა. ადრეული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სასწავლო პერსონალისთვის მინიმალური მოთხოვნაა ბაკალავრის დონის ხარისხის ქონა შესაბამის მიმართულებაში.[37]

[30] European Commission, Eurydice, National Education Systems, Estonia, Funding in Education თავი 4.2, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 24/12/2023].
[31] Preschool Childcare Institutions Act, თავი 4, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 26/12/2023].
[32] The minimum staff composition of the preschool institution, Estonia,2015, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 26/12/2023].
[33] European Commission, Eurydice, National Education Systems, Estonia, Funding in Education თავი 4.2, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 26/12/2023].
[34] The minimum staff composition of the preschool institution, 2015, მუხლი 3, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 26/12/2023].
[35] იქვე.
[36] იქვე.
[37] Preschool Childcare Institutions Act, თავი 4, მუხლი 221,იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 26/12/2023].

იადრეული სკოლამდელი განათლების დაწესებულების სასწავლო პერსონალის მომზადება მიმდინარეობს საუნივერსიტეტო და პროფესიული პროგრამების ფარგლებში. არის როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებიც.[38]

ამასთანავე, ესტონეთის განათლების სტრატეგიის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სასწავლო პერსონალის შემდგომ პროფესიულ განვითარებას. სასწავლო პერსონალი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს უწყვეტი განათლების ფარგლებში განხორციელებულ ტრენინგებსა და სასწავლო კურსებში. უწყვეტი განათლება ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.[39]

სასწავლო პერსონალის კვალიფიკაციის შესაფასებლად შემუშავებულია საკვალიფიკაციო სტანდარტები სხვადასხვა პროფესიული განვითარების დონისთვის. შეფასება ხორციელდება ორი ინსტრუმენტით:[40]

- ელექტრონული თვითშეფასების ინსტრუმენტი - რომლითაც მასწავლებელი თავად აფასებს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს და ადგენს პროფესიული განვითარების საჭიროებას
- პერსონალის საქმიანობის შეფასება (performance appraisal) - რომელსაც წელიწადში ერთხელ ატარებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

სასწავლო პროცესის ორგანიზება, ინკლუზიურობა და განათლების ალტერნატიული ფორმები

როგორც აღინიშნა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სარგებლობენ მაღალი ავტონომიით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ სასწავლო კურიკულუმს, რომელიც თანხვედრაში უნდა იყოს სამინისტროს მიერ დამტკიცებული **ეროვნული კურიკულუმით** განსაზღვრულ ზოგად პრინციპებსა და მეთოდებთან.[41]

ძირითადად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ხელს უწყობენ ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას, რომელიც გულისხმობს როგორც ფიზიკურ, ისე სოციალური და კოგნიტური უნარების განვითარებას. სკოლამდელი აღზრდის პროცესში სასწავლო აქტივობები ფარავს სხვადასხვა საკითხებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვის სოციალურ გარემოსთან ინტეგრირებას. ამასთანავე, სკოლამდელი აღზრდის პროცესში ვითარდება წერა-კითხვის უნარებიც, შესაბამისად, სასკოლო ასაკში ბავშვთა უმეტესობა უკვე ფლობს წერა-კითხვის უნარებს.[42]

სასწავლო კურიკულუმით მკაცრად არ არის განსაზღვრული დღის განრიგი და აქტივობები. ამ მხრივ მასწავლებლებს აქვთ თავისუფლება და მოქნილობა, თავად განსაზღვრონ დღის განმავლობაში სასწავლო და სხვა სახის აქტივობები.[43] ამასთანავე, ბავშვთა აღზრდა-განვითარების პროცესში გამოყენებულია ბავშვზე ორიენტირებული აქტიური სწავლების მეთოდები, მათ შორის თანმიმდევრული (stepbystep) სწავლება, ვალდორფის სწავლების მეთოდი, რეჯიო-ემილიას სწავლების მეთოდი, აღმოჩენაზე დაფუძნებული მეთოდი (Discovery methodology), და სხვ. ამ მხრივ, სასწავლო დაწესებულებები, მოქნილები არიან, თავად აირჩიონ ბავშვზე მორგებული აღზრდისა და სწავლების მეთოდი. საჭიროებისამებრ, დაწესებულებები ასევე შეიმუშავებენ ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმას და აქტივობებს განსაზღვრავენ ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე.[44]

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სამუშაო საათები განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, დაწესებულების საბჭოს წინადადების საფუძველზე. უმეტესწილად, დაწესებულებები ითვალისწინებენ მშობლების სამუშაო გრაფიკს და იხსნებიან სტანდარტული სამუშაო დღის დაწყებამდე ადრე (დილის 7 საათზე) და მუშაობენ საღამოს 6 ან ზოგჯერ 7 საათამდეც.[45]

[38] European Commission, Eurydice, National Education Systems, Estonia, Funding in Education თავი 9,1, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 26/12/2023].
[39] იქვე, თავი 9.3, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 26/12/2023].
[40] იქვე.
[41] European Commission, Eurydice, National Education Systems, Estonia, თავი 4.3, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 26/12/2023].
[42] იქვე.
[43] იქვე, თავი 4.2, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 26/12/2023].
[44] იქვე, თავი 4.3, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 26/12/2023].
[45] იქვე, თავი 4.2, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 26/12/2023].

▶ ავტორიზაცია და ხარისხის კონტროლი

საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის მექანიზმები მოიცავს:[46]

- სახელმწიფო ზედამხედველობას
- დაწესებულების საქმიანობის შიდა შეფასებას.

საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარისხის კონტროლსა და სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს განათლებისა და კვლევების სამინისტრო. სახელმწიფო ზედამხედველობის ფარგლებში ფასდება შესაბამისობა საკანონმდებლო მოთხოვნებთან, კანონის აღსრულების პროცესთან დაკავშირებული გამოწვევები, ასევე, საჭიროებისამებრ შეიძლება შეისწავლონ ინდივიდუალური შემთხვევები ან დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. სახელმწიფო ზედამხედველობის ფარგლებში სამინისტროს შეუძლია განახორციელოს როგორც ადგილზე ინსპექტირება, ასევე დოკუმენტური შემოწმება.[47] ამასთანავე, სამინისტროს შეუძლია, შეფასების პროცესში ჩართოს ექსპერტებიც.[48]

ხარისხის კონტროლის პროცესი იწყება დაწესებულების რეგისტრაციისას. საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათ შორის ადრეული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, უნდა ჰქონდეთ სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზია, რათა გასწიონ თავიანთი მიზნების ფარგლებში განსაზღვრული საქმიანობა. ლიცენზიის მისაღებად დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებს, ჰქონდეს ადეკვატური ინფრასტრუქტურა, ჰყავდეს შესაბამისი პერსონალი და ორგანიზაციული სტრუქტურა.[49]

ამასთანავე, სკოლამდელი დაწესებულებები ვალდებულნი არიან შეიმუშაონ განვითარების გეგმები, რომლებიც მოიცავს დაწესებულების განვითარების ძირითად მიზნებსა და მიმართულებებს, შესაბამის 3-წლიან სამოქმედო გეგმას და ასევე, აღნიშნული გეგმის განახლების პროცედურას.[50]

ამასთანავე, დაწესებულებას უნდა ჰყავდეს საბჭო, რომელიც შედგება მასწავლებლების, მშობლებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისგან. საბჭო ზედამხედველობას უწევს დაწესებულების საქმიანობას, წარადგენს რეკომენდაციებს ბავშვზე მორგებული გარემოს განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის, ასევე შეიმუშავებს რეკომენდაციებს დაწესებულების ბიუჯეტისა და ხარჯების განაწილების თაობაზე.[51]

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შესახებ აქტით, დაწესებულება ვალდებულია ყოველ 3 წელიწადში ერთხელ განახორციელოს საკუთარი საქმიანობის შიდა შეფასება. შიდა შეფასების ფარგლებში ხდება დაწესებულების საქმიანობის ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესწავლა, ასევე ფასდება თუ რამდენად მოხერხდა განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ინდიკატორების მიღწევა. შეფასების ფარგლებში ვლინდება დაწესებულების ძლიერი მხარეები და შემდგომი განვითარების საჭიროებები. შიდა შეფასების ანგარიშს ამტკიცებენ დაწესებულების ხელმძღვანელი, მფლობელი და საბჭო.[52]

[46] იქვე, თავი 11, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 26/12/2023].
[47] იქვე.
[48] Preschool Childcare Institutions Act, თავი 6, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 26/12/2023].
[49] Preschool Childcare Institutions Act, თავი 2, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 26/12/2023].
[50] იქვე, მუხლი 91.
[51] იქვე, მუხლი 24.
[52] Preschool Childcare Institutions Act, თავი 41, იხ. ბმული, [ბოლოს ნანახია: 26/12/2023].

პოლონეთი

პოლონეთში ადრეული განათლებისა და ზრუნვის სისტემაზე პასუხისმგებლობა განაწილებულია ორ სახელმწიფო ინსტიტუტს შორის. კერძოდ, ადრეული განათლების პოლიტიკას განსაზღვრავს **განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**,[53] ხოლო ზრუნვისას - **ოჯახთა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო**. უშუალო ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.[54]

ადრეული განათლებისა და ზრუნვის სისტემები დიფერენცირებულია ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. 0-3 წლის ბავშვებისთვის მოქმედებს ადრეული ზრუნვის, ხოლო 3-6/7 წლის ბავშვებისთვის - ადრეული განათლების სერვისები. ბავშვზე ზრუნვის სისტემის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტია **კანონი 3 წლამდე ბავშვთა ზრუნვის შესახებ**, ხოლო ადრეული განათლების კი - **ბრძანება სკოლამდელი განათლების შესახებ**.[55] ბავშვთა ზრუნვისა და ადრეული განათლების ეტაპებისთვის კონკრეტული პედაგოგიური მიდგომა/სისტემა კანონით განსაზღვრული არ არის, დაწესებულება საკუთარი ინიციატივით ირჩევს სასურველ მიდგომას. მათ შორისაა: მონტესორის (Montessori) თეორია (ყველაზე გავრცელებული), ლაბანის შემოქმედებითი გიმნასტიკა, ვალდორფის (Waldorf) მიდგომა და სხვ.[56] ადრეული განათლების ეტაპზე სწავლება მიმდინარეობს **სკოლამდელი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) მიხედვით**. რაც შეეხება სერვისის მიწოდების სტანდარტებს, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული არ არის.[57]

ქვემოთ აღწერილია ადრეული ზრუნვისა და განათლების საჯარო სისტემის ძირითადი მახასიათებლები.

▶ ადრეული ზრუნვის სისტემა (0-3 წელი)

0-3 წლის ბავშვებისათვის პოლონეთში მოქმედებს შემდეგი სახის მომსახურებები: დაწესებულების ბაზაზე არსებული დღის ცენტრები (żłobki), საბავშვო ცენტრები (kluby dziecięce) და შინ მოვლის სერვისები. დღის ცენტრებისა და შინ მოვლის სერვისები ხელმისაწვდომია 20 კვირის ასაკიდან, ხოლო საბავშვო ცენტრები 1 წლიდან.[58] როგორც ზრუნვის დაწესებულებების, ისე შინ მოვლის სერვისის უშუალო ზედამხედველობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრება.[59]

ადრეული ზრუნვის სერვისის მისაღები ერთადერთი კრიტერიუმი ბავშვის ასაკია. დამატებითი წინაპირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და მიღების პრიორიტეტები განისაზღვრება კონკრეტული პროვაიდერის შინაგანაწესის მიხედვით. კერძოდ, შინაგანაწესით პრიორიტეტი შეიძლება მიენიჭოს:

- მარტოხელა მშობლის შვილს
- ბავშვს მრავალსულიანი ოჯახიდან
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვს
- ბავშვს მიმღები ოჯახიდან
- შშმ პირის შვილს.

გარდა ზემოხსენებულისა, ზოგიერთ შემთხვევაში პრიორიტეტი შეიძლება მიენიჭოს იმ ბავშვებს, რომელთა ორივე მშობელი დასაქმებულია ან ახალი დაბრუნებულია შრომის ბაზარზე.[60]

[53] წყარო: ადრეული განათლება და ზრუნვა პოლონეთში, ევროკომისია, იხ. ბმული, ნანახია: 19/12/2023.
[54] წყარო: ადრეული განათლება და ზრუნვა პოლონეთში, ევროკომისია, იხ. ბმული, ნანახია: 19/12/2023.
[55] წყარო: ადრეული განათლება და ზრუნვა პოლონეთში, ევროკომისია, იხ. ბმული, ნანახია: 19/12/2023.
[56] წყარო: ადრეული განათლება და ზრუნვა პოლონეთში, ევროკომისია, იხ. ბმული, ნანახია: 19/12/2023.
[57] წყარო: ადრეული განათლება და ზრუნვა პოლონეთში, ევროკომისია, იხ. ბმული, ნანახია: 19/12/2023.
[58] წყარო: ადრეული განათლება და ზრუნვა პოლონეთში, ევროკომისია, იხ. ბმული, ნანახია: 19/12/2023.
[59] წყარო: ადრეული განათლება და ზრუნვა პოლონეთში, ევროკომისია, იხ. ბმული, ნანახია: 19/12/2023.
[60] წყარო: ადრეული განათლება და ზრუნვა პოლონეთში, ევროკომისია, იხ. ბმული, ნანახია: 19/12/2023.

ზრუნვის დაწესებულებები ინკლუზიურია, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები საერთო ჯგუფში იმყოფებიან. ზრუნვის დაწესებულებებისთვის დადგენილია რაოდენობრივი ზღვრები. კერძოდ, **ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა თითოეული აღმზრდელისთვის, რაც** დღის ცენტრის და საბავშვო ცენტრების აღმზრდელთათვის შეადგენს არაუმეტეს 8 ბავშვს. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფში არის შშმ/სპეციალური საჭიროების მქონე ან 1 წლამდე ასაკის ბავშვი, ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5-ს. დღის ცენტრს, სადაც ბავშვთა საერთო რაოდენობა აღემატება 20-ს, ევალება ჰყავდეს მედდა ან ექთანი.[61]

ზრუნვის დაწესებულებების სამუშაო საათები კანონით არ რეგულირდება. ეს შიდა ორგანიზაციულ მოწყობაზეა დამოკიდებული. ასევე შეიძლება გახდეს მშობელთან შეთანხმების საფუძველი. როგორც წესი, ზრუნვის დაწესებულები მუშაობენ 7-10 საათის განმავლობაში.[62]

ზრუნვის ალტერნატიული ფორმაა შინ მოვლის მომსახურება, რაც შეიძლება გასწიონ დღის ცენტრებმა ან კერძო აღმზრდელებმა. მომსახურების ხანგრძლივობა შეიძლება შეთანხმდეს ბავშვის მშობელთან.[63]

- **ადრეული განათლების სისტემა (3-6 წელი)**

ადრეული განათლების დაწესებულებებში სწავლება მიმდინარეობს სკოლამდელი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) მიხედვით. ეროვნული სასწავლო გეგმა (კურიკულუმი) ადგენს სპეციალური საჭიროებების/შშმ ბავშვებისათვის განათლების მიცემის ზოგად სტანდარტებსაც. ინდივიდუალური მიდგომის საჭიროების განსაზღვრა კონკრეტული პედაგოგის პრეროგატივაა.[64]

ადრეული განათლების საჯარო დაწესებულებაში მისაღებად პრიორიტეტი ენიჭება შესაბამის მუნიციპალიტეტში/რაიონში მცხოვრებ ბავშვებს. იმ შემთხვევაში, თუ სერვისის მიმღებთა რაოდენობა აღემატება დაწესებულების ლიმიტს, პრიორიტეტი ენიჭება შემდეგ გარემოებებს:

- მრავალშვილიანი ოჯახი
- ბავშვი არის შშმ
- ბავშვის ერთ-ერთი ან ორივე მშობელი არის შშმ
- ბავშვის და/ძმა არის შშმ
- ბავშვს ზრდის მარტოხელა მშობელი
- ბავშვი იზრდება მიმღებ ოჯახში.

ჯგუფში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 25-ს. **ინკლუზიური დაწესებულების** შემთხვევაში ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობაა 20 ბავშვი, მათ შორის არაუმეტეს 5 შშმ ბავშვი. ყოველ ჯგუფს, როგორც წესი, ჰყავს ორი აღმზრდელი, რომლებიც მუშაობენ ნახევარდღიანი ცვლებით.[65]

ადრეული განათლების **ალტერნატიული ფორმაა** ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა, რომელიც ბავშვის საცხოვრებელ ადგილზე ხორციელდება. ამ პროგრამის მიზანია ბავშვის სასკოლოდ მომზადება. სერვისი განკუთვნილია ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვებისთვის. სასწავლო პროგრამას, რომლის ხანგრძლივობაც კვირაში 4-6 საათს შეადგენს, უძღვება 1 ან 2 მასწავლებელი.[66]

ადრეული განათლების ეტაპის დამამთავრებელ წელს ყოველ ბავშვზე კეთდება შეფასების დოკუმენტი, რომელიც ასახავს ბავშვის სასკოლო მზაობის დონეს. შეფასების დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ბავშვის როგორც ფსიქოსოციალურ, ისე ზოგადი გონებრივი განვითარების დონეს. ამ შეფასების საფუძველზე გამოჩნდება, აქვს თუ არა ბავშვს სპეციალური/ინდივიდუალური სწავლების საჭიროება.[67]

---

[61] წყარო: იქვე.
[62] წყარო: იქვე.
[63] წყარო: ადრეული განათლება და ზრუნვა პოლონეთში, ევროკომისია, იხ. ბმული, ნანახია: 19/12/2023.
[64] წყარო: ადრეული განათლება და ზრუნვა პოლონეთში, ევროკომისია, იხ. ბმული, ნანახია: 19/12/2023.
[65] წყარო: ადრეული განათლება და ზრუნვა პოლონეთში, ევროკომისია, იხ. ბმული, ნანახია: 19/12/2023.
[66] წყარო: ადრეული განათლება და ზრუნვა პოლონეთში, ევროკომისია, იხ. ბმული, ნანახია: 19/12/2023.
[67] წყარო: ადრეული განათლება და ზრუნვა პოლონეთში, ევროკომისია, იხ. ბმული, ნანახია: 19/12/2023.

- **ადრეული ზრუნვისა და ადრეული განათლების დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაციები**

პოლონეთში **ადრეული ზრუნვის** მომსახურების მიმწოდებელი, აღმზრდელი შეიძლება იყოს პიროვნება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

აქვს ექთნის/მედდის/აღმზრდელის/ბაგა-ბაღის მასწავლებლის/სკოლამდელი განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

აქვს ბაკალავრის ან მაგისტრის/დოქტორის ხარისხი, რომელიც მოიცავს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ სპეციალიზაციას:

- ადრეული განვითარება
- პედაგოგიკა
- სკოლამდელი განათლება
- ბავშვთა ფსიქოლოგია
- განათლების ფსიქოლოგია.

გარდა ზემოხსენებულისა, აღმზრდელად მუშაობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატს გავლილი აქვს შესაბამისი პროფესიული გადამზადება (სასწავლო კურსის ხანგრძლივობა დამოკიდებულია კონკრეტულ პოზიციაზე) ან ბავშვზე ზრუნვის სასერტიფიკატო კურსი (280 საათიანი).

დღის ცენტრის და ბავშვთა ცენტრის აღმზრდელს გავლილი უნდა ჰქონდეს პირველადი სამედიცინო დახმარების კურსი.[68]

ადრეული განათლების ეტაპზე აღმზრდელისთვის მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნაა ბაკალავრის ხარისხი ბავშვის ადრეული განათლების სპეციალიზაციით.[69]

- **სახელმწიფო ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლი**

გამომდინარე იქიდან, რომ ადრეული ზრუნვისა და ადრეული განათლების სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა გამიჯნულია ორ სამინისტროს შორის, შესაბამისად, სახელმწიფო ზედამხედველობისა და ხარისხის კონტროლის მექანიზმები განსხვავდება ადრეული ზრუნვისა და ადრეული განათლების (სკოლამდელი აღზრდის) დაწესებულებებისთვის.

ადრეული ზრუნვის სერვისები (0-3 წელი)

ადრეული ზრუნვის სერვისების მიმწოდებლებისთვის საქმიანობის წესები და პირობები, ასევე მომსახურების მიწოდების ზოგადი სტანდარტები (ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმები) განსაზღვრულია კანონმდებლობით. მომსახურების მიწოდების ზოგადი წესები და სტანდარტები უფრო დეტალურად განისაზღვრება ადგილობრივ დონეზე, კომუნების მიერ. ადრეული ზრუნვის დაწესებულებების საქმიანობის ზედამხედველობის უფლებამოსილება გადანაწილებულია ოჯახთა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის.[70]

ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის ზედამხედველობა ხორციელდება შიდა და გარე შეფასებების ფარგლებში. დაწესებულების საქმიანობის გარე შეფასება ევალება უშუალოდ ადგილობრივ თვითმმართველობას. შეფასება შეიძლება გულისხმობდეს როგორც ადგილზე შემოწმებას, ისე დოკუმენტების ანალიზს.[71]

[68] წყარო: ადრეული განათლება და ზრუნვა პოლონეთში, ევროკომისია, იხ. ბმული, ნანახია: 19/12/2023.
[69] წყარო: ადრეული ზრუნვისა და განათლების სისტემის ანგარიში, პოლონეთი, ვარშავის უნივერსიტეტი, 2017, იხ. ბმული, ნანახია: 19/12/2023.
[70] წყარო: ადრეული განათლება და ზრუნვა პოლონეთში, ევროკომისია, თავი 11, იხ. ბმული, ნანახია: 26/12/2023.
[71] იქვე, თავი 11.1, იხ. ბმული, ნანახია: 26/11/2023.

ხარისხის კონტროლის შიდა მექანიზმებთან დაკავშირებით, ეროვნული კანონმდებლობით კონკრეტული მოთხოვნები განსაზღვრული არ არის. შიდა კონტროლის მექანიზმები განისაზღვრება დაწესებულების შიდა რეგულაციებით.[72]

ადრეული განათლების სისტემა (3-6 წელი)

ადრეული განათლების სერვისები განათლების სისტემის ნაწილია და, შესაბამისად, ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპეტენციაა.

ადრეული განათლების სისტემისა და სასკოლო განათლების ხარისხის კონტროლისა და სახელმწიფო ზედამხედველობის მექანიზმები ერთნაირია და მოიცავს როგორც გარე, ისე შიდა შეფასებებს.[73]

გარე შეფასებების მექანიზმები მოიცავს პედაგოგიურ ზედამხედველობას, მასწავლებელთა შეფასებებსა და დაწესებულებების ხელმძღვანელის შეფასებას. თითოეული მათგანი აფასებს სასწავლო პროცესის სხვადასხვა ასპექტს და ხორციელდება სხვადასხვა სუბიექტის მიერ, თუმცა სამივე ინსტრუმენტის საერთო მიზანი განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფაა.[74]

- **პედაგოგიური ზედამხედველობა** - ხორციელდება პედაგოგიური ზედამხედველობის ორგანოების მიერ, რომელიც მოიცავს განათლების სამინისტროსა და რეგიონში განათლების მიმართულებით პასუხისმგებელ უწყებებს. ზედამხედველობის ფარგლებში ფასდება საგანმანათლებლო პროცესის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, ასევე, სასწავლო შედეგები. განათლების სამინისტრო ყოველწლიურად განსაზღვრავს შეფასების ფოკუსს. შეფასების შედეგები ქვეყნდება ელექტრონულ პლატფორმაზე (pedagogical supervision platform), რომელსაც მართავს სამინისტრო.
- **მასწავლებელთა შეფასება** - გულისხმობს როგორც გარე, ისე შიდა შეფასებას. გარე შეფასება ხორციელდება დაწესებულების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის, რეგიონში განათლებაზე პასუხისმგებელი უწყების წარმომადგენლებისა და გარე ექსპერტებისგან შემდგარი ჯგუფის მიერ. გარე შეფასების ფარგლებში ფასდება მასწავლებელთა კვალიფიკაცია, ხოლო უშუალოდ ინდივიდუალური საქმიანობა ფასდება შიდა შეფასების (performance appraisal) ფარგლებში.
- **სკოლის ხელმძღვანელის შეფასება** - ხორციელდება პედაგოგიური ზედამხედველობის ორგანოსა და სკოლის ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი უწყების მიერ.

შიდა შეფასების დაწესებულების ხელმძღვანელი, მენეჯმენტის გუნდთან ერთად ატარებს სავალდებულო ინსპექტირებასა და აუდიტს, დაწესებულების ზოგადი საქმიანობისა და სასწავლო პროცესის შესაფასებლად. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა შეფასება და საგანმანათლებლო პროცესის პედაგოგიური ზედამხედველობა, შესაძლოა, ასევე განხორციელდეს ხარისხის კონტროლის შიდა პროცესის ფარგლებში.

ფინეთი

ფინეთში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა განათლებისა და ზრუნვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე ადგილობრივი ხელისუფლებაა პასუხისმგებელი. 0-6 წლამდე სკოლამდელი განათლება არ არის სავალდებულო. თუმცა, 2015 წლიდან, საშუალო სკოლაში შესვლამდე, ერთწლიანი სკოლამდელი განათლება და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობა სავალდებულო და ერთიანი სისტემური განათლების შემადგენელი ნაწილი გახდა. ამ პერიოდში, ბავშვი ემზადება სკოლისთვის და ივითარებს სოციალურ უნარებს.

ფინეთში, ბავშვები სწავლას იწყებენ შედარებით გვიან, 7 წლის ასაკში. ეროვნული პრინციპის თანახმად, ბავშვებს დრო და სივრცე სჭირდებათ განვითარებისა და ზრდისთვის. ფინეთის სწავლების მეთოდები მხარს უჭერს ბავშვების შემოქმედებითი და დამოუკიდებელი აზროვნების უნარებს.

[72] იქვე.
[73] იქვე.
[74] იქვე.

ფინეთში ადრეული ასაკის აღზრდა და განათლება განათლებისა და ზრუნვის ინტეგრირებული სახელმწიფო პროგრამის ნაწილია. კანონმდებლობის მიხედვით, ადრეული ასაკის ბავშვთა განათლება და ზრუნვა დაგეგმილი და შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო, სააღ-მზრდელო და ზრუნვის პედაგოგიური სისტემაა. ფინეთში მუნიციპალური სკოლამდელი მომ-სახურების ცენტრები, ადრეული ასაკის ბავშვთა განათლებისა და მოვლის ძირითადი ფორმაა. ისინი 0-7 წლამდე ბავშვებზეა გათვლილი.

სკოლამდელი განათლების მიღება შესაძლებელია როგორც ადრეული ასაკის განათლებისა და ზრუნვის მუნიციპალურ ცენტრებში, ისე სკოლებში. სკოლამდელი განათლების მარეგულირებელი ეროვნული სასწავლო გეგმა (კურიკულუმი) ერთი და იგივეა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. სკოლამდელ დაწესებულებებში განათლებას 4 საათი ეთმობა, დღის დანარჩენი მონაკვეთი სხვადასხვა აქტივობას მოიცავს, შესაძლებელია ბავშვი ჩაერთოს დამატებით სასწავლო პროგ-რამებშიც.

ფინეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო სრულად არის პასუხისმგებელი ბავშვთა დაწყებით განათლებაზე, სკოლამდელი განათლების ჩათვლით. ქვეყანაში ასევე არსებობს განათ-ლების ექსპერტებით დაკომპლექტებული ეროვნული სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია სკოლამდელი განათლების განვითარებაზე. სწორედ ის ადგენს ეროვნულ სასწავლო გეგმებს (კურიკულუმს), რომელთა საფუძველზეც მუნიციპალიტეტები და განათლების სხვა მიმწოდებლები ამზადებენ ადგილობრივ სასწავლო პროგრამებს.

ფინეთის საგანმანათლებლო სისტემა სრულად ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებს. აღსანიშნავია, რომ სასწავლო გეგმა (კურიკულუმი) სრულად უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის განვითარების, სწავლების და კეთილდღეობის ხელშეწყობას და საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ინდივიდუალური გეგმის შემუშავებასაც უნდა ითვალისწინებდეს.

ფიზიკური აქტივობის წახალისება ბავშვებში ერთ-ერთი მთავარი ასპექტია ფინურ საგანმანათ-ლებლო სისტემაში. ფინეთში ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2016 წლის აგვისტოში მიიღეს. ახალი პროგრამა ფოკუსირებულია პედაგოგიკაზე, ახალ სასწავლო გარემოზე და განათლების პროცესის გაციფრულებაზე (დიჯიტალიზაცია). რეფორმა სრულად იყენებს პედაგოგის ცოდნასა და უნარებს და ანიჭებს მათ თავისუფლებას, პედაგოგები თავად ირჩევენ სწავლების მეთოდებს. ბუნებრივია, ისინი მიყვებიან ეროვნულ სასწავლო გეგმას, მაგრამ ამავე დროს, აქვთ თავისუფ-ლება აირჩიონ სწავლების მეთოდები და საგანმანათლებლო რესურსები.

ფინეთში, სკოლამდელი აღზრდის პედაგოგს მოეთხოვება უმაღლესი განათლება. 2017 წელს გა-ნათლებისა და კულტურის სამინისტრომ და უნივერსიტეტებმა მიიღეს ერთობლივი შეთანხმება სკოლამდელი განათლების მასწავლებელთა კონტინგენტის გაზრდის შესახებ. ამავე წელს, მთავრობამ 28 მილიონი ევრო გამოყო ოთხი წლის განმავლობაში ადრეული ასაკის ბავშვთა განათლებისა და ზრუნვის სფეროსთვის პერსონალის მოსამზადებლად და გადასამზადებლად.

თავი 3

მოკვლევის პროცესში შემოსული მოსაზრებების ანალიზი

ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსები

გარემო, რომელშიც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, დიდ გავლენას ახდენს ამ პროცესის ხარისხზე. მნიშვნელოვანია, რომ ის ხელს უწყობდეს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებასაც, და თან პერსონალისთვისაც იყოს ყოველმხრივ კომფორტული.[75]

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების თანახმად, ფიზიკური გარემო ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებაში. იგი გულისხმობს დაწესებულების არა მხოლოდ შიდა, არამედ გარე სივრცესაც, საგანმანათლებლო რესურსებსა და აღჭურვილობას. დაწესებულების თანამშრომლების მიზანი ფიზიკური გარემოს იმგვარად მოწყობაა, რომ მან მაქსიმალურად შეუწყოს ხელი თითოეული ბავშვის შესაძლებლობების გამოვლენას, უნარების განვითარებას, ახალი გამოცდილების მიღებას, შეთავაზებული საგანმანათლებლო რესურსების აღმოჩენასა და შემოქმედებითად გამოყენებას. ფიზიკური გარემოს თითოეული ბავშვის ინტერესებზე მორგება, მათი ასაკობრივი და განვითარების საჭიროებების გათვალისწინება ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.[76]

მოკვლევაში მონაწილე პირთა სრული უმრავლესობა ცალსახად ადასტურებს ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის უაღრესად დიდ გავლენს ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხიან მიწოდებაზე. აღინიშნება, რომ ინფრასტრუქტურის გავლენა აისახება, როგორც საგანმანათლებლო პროცესის წარმართვაზე, ისე დაწესებულებაში დასაქმებული კადრების სამუშაო მოტივაციაზე. უკანასკნელი წლების განმავლობაში, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში გარემონტდა/რეაბილიტირდა ძველი ბაღები, ან ახალი შენობები აშენდა. მოკვლევაში ჩართული მუნიციპალიტეტების ნაწილში, ახლაც მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები და იგეგმება ახალი ბაღების აშენება. მოკვლევის ფარგლებში შემოსული მოსაზრებების მიხედვით, ინფრასტრუქტურის მიმართულებით ჯერ კიდევ არის რიგი გამოწვევები: მოკვლევაში მონაწილე მხარეების ნაწილი აღნიშნავს, რომ საბავშვო ბაღების შენობების ნაწილი ვერ აკმაყოფილებს რეგულაციებს და სტანდარტებს. მათივე ინფორმაციით, საჭიროა შენობების შესწავლა და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა. აღსანიშნავია, რომ არის შემთხვევები, როდესაც ახლად რეაბილიტირებულ/აშენებულ ბაღებშიც კი გართულებულია დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა, მათ შორის, დროებითი წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ამ სახის გამოწვევები, რიგ შემთხვევაში, მიუთითებს კოორდინაციის ნაკლებობაზე ადგილობრივ თვითმმართველობას, საბავშვო ბაღებსა და კონტრაქტორს/მშენებელს შორის. როგორც მოკვლევაში ჩართული მუნიციპალიტეტები აღნიშნავენ, ინფრასტრუქტურულ გამოწვევებს საფუძვლად უდევს:

1. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შენობა-ნაგებობის მოწყობის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის არარსებობა;

2. კომუნიკაციის ნაკლებობა ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებსა და მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტის განმახორციელებლებს შორის.

[75] ს. ბერტი, ა. ციგალი, ნ. შარმადი, 2019, ადრეული განათლება და ზრუნვა, ფიზიკური გარემო და ბავშვის განვითარება.
[76] ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი, 2017, მუხლი 13.

შესაბამისად, ბაღების ნაწილი არაა ადაპტირებული, არ არის დაცული უნივერსალური დიზაინის პრინციპები, მიუხედავად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნისა.[77] ასევე გამოწვევად რჩება თანამშრომლობითი საქმიანობისთვის განსაზღვრული სივრცეები. ასეთი სივრცის არსებობა აუცილებელია ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით. ამგვარი სივრცის მნიშვნელობაზე მიუთითებენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც. ასეთი სივრცის არარსებობა უარყოფითად აისახება, როგორც პერსონალის მოტივაციაზე, ისე ზოგადად საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზეც.

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში, სადაც ასევე გამახვილებულია ყურადღება ინფრასტრუქტურულ გამოწვევებზე, აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტების მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, საბავშვო ბაღებში კვლავ გამოწვევად რჩება არასაკმარისი სივრცის საკითხი, რაც შეუძლებელს ხდის შენობაში ყველა საჭირო დანიშნულების ოთახის მოწყობას და ბავშვების რაოდენობის შესაბამისი ფართობის გამოყოფას. ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას იმ საბავშვო ბაღებში, რომლებიც არასტანდარტულ შენობაშია განთავსებული.[78]

ზემოთ ხსენებულ საკითხებთან მიმართებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შენობა-ნაგებობის მოწყობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის შესახებ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართვის საფუძველზე, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი ფონდის ექსპერტები შეისწავლიან ამ დოკუმენტის სამუშაო ვერსიას, განიხილავენ მას სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ადრეული განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სპეციალისტებთან და დოკუმენტში მიუთითებენ გაუმჯობესების რეკომენდაციებს.

დაწესებულების ეზო

ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულების ეზო საგანმანათლებლო პროცესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მოქმედი რეგულაციების მიხედვით, მოწყობილი ეზო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიანად წარმართვას და ხელს უწყობს ბავშვების სრულფასოვან, მრავალმხრივ განვითარებას - ეზოში ბავშვს ეძლევა საშუალება ისუნთქოს სუფთა ჰაერი, ითამაშოს მრავალფეროვანი თამაშები, შეიმეცნოს სამყარო, ბუნება. მნიშვნელოვანია ეზო იყოს მოწყობილი ფუნქციონალურად, მოიცავდეს მრავალფეროვან სივრცეებს: აქტიური და წარმოსახვითი თამაშებისთვის, სენსორული აქტივობებისთვის და ა.შ.[79] ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით, ბავშვების ეზოში გაყვანა აუცილებელია ყოველდღიურად. ამავე სტანდარტში საუბარია ეზოს/გარე სივრცის საგანმანათლებლო დანიშნულებაზე. მნიშვნელოვანია დაწესებულების ეზო იყოს უსაფრთხო და დაფარული იყოს სხვადასხვაგვარი საფარით: ბუნებრივი ბალახის საფარით, ნარგავებით, სწორი ზედაპირი სარბენად ან ბორბლიანი სათამაშოებისთვის, ქვიშის საფარი, ნიადაგი დასამუშავებლად.[80]

ავტორიზაციის დროებითი წესის №3 დანართში განმარტებულია ის ალტერნატივები, რომელიც შესაძლოა ანაცვლებდეს ეზოს, კერძოდ: დაწესებულება შეიძლება მდებარეობდეს სარეკრეაციო ტერიტორიაზე/მომიჯნავედ, ან გარე სივრცე შეიძლება მოეწყოს შენობის სახურავზე (მესამე სართულის იატაკის დონეზე) შესაბამისი მოთხოვნების დაცვით.

აღსანიშნავია, რომ ეზოს შესაბამისი რეგულაციების მიხედვით, ფუნქციონალურად მოწყობა ყოველთვის განსაკუთრებულ ფინანსურ რესურსებთან არაა დაკავშირებული; ამის დასტურია საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას“ და „ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ მიერ განხორციელებული პროექტები საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, რომელთა ფარგლებშიც ბაღების ეზოები მოეწყო და ადაპტირდა ბუნებრივი და მეორადი რესურსების გამოყენებით.[81]

[77] ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, 2017, მუხლი 13, სტანდარტი 3.
[78] საქართველოს სახალხო დამცველი, 2020, სპეციალური ანგარიში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგები.
[79] ო. მუსხელიშვილი, 2019, როგორ მოვაწყოთ საბავშვო ბაღის ეზო.
[80] ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, 2017, მუხლი 13, სტანდარტი 3.
[81] ვორლდ ვიჟენ საქართველო, 2021, საბავშვო ბაღის ეზო - სკოლამდელი დაწესებულებების გარე სივრცეების მნიშვნელობისა და მოწყობის გზამკვლევი.

მოსაზრებების ავტორების უმრავლესობა საუბრობს ეზოს, როგორც საგანმანათლებლო სივრცის უდიდეს მნიშვნელობაზე. თუმცა აღინიშნება, რომ ეზოს კეთილმოწყობა კვლავ ბევრგან რჩება გამოწვევად. ზოგიერთ საბავშვო ბაღს ეზო საერთოდ არ აქვს. მოსაზრებების ავტორთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეზო ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და იქ მიმდინარე აქტივობები[82] ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშშიც აღნიშნულია, რომ საბავშვო ბაღების ნაწილში ეზოები არ არის ბავშვების განვითარების, გართობისა და დასვენებისთვის მოწყობილი, არ არის საჭირო სივრცე და ინვენტარი, რაც შესაძლებელს გახდიდა ბავშვებისთვის სხვადასხვა აქტივობის ჩატარებას.

საგანმანათლებლო რესურსები

საგანმანათლებლო რესურსები ფიზიკური გარემოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. შესაბამისმა საგანმანათლებლო რესურსებმა ხელი უნდა შეუწყოს თითოეული ბავშვის შესაძლებლობების გამოვლენას, უნარების განვითარებას, ახალი გამოცდილების მიღებას. საგანმანათლებლო რესურსები უნდა იყოს მრავალფეროვანი, როგორც მზა, ისე ბუნებრივი, ხელნაკეთი და მეორადი მასალებისგან დამზადებული, ის ასევე უნდა პასუხობდეს ბაღის მიერ არჩეულ პროგრამას/კურიკულუმს. მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო რესურსების რაოდენობა შეესაბამებოდეს დაწესებულებების ჯგუფებისა და ბავშვების რაოდენობას.[83] შეერთებული შტატების ბავშვთა ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ეროვნულმა ინსტიტუტმა (NICHD, 2002) აღმოაჩინა მნიშვნელოვანი კავშირი პედაგოგების მუშაობის ხარისხსა და არსებულ საგანმანათლებლო რესურსებს შორის. ჯგუფში, სადაც მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსებია, საგანმანათლებლო პროცესი უფრო საინტერესოდ და ხარისხიანად მიმდინარეობს.

საქართველოში მოქმედი რეგულაციების თანახმად, ბაღებისთვის საგანმანათლებლო რესურსების შეძენაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში, გარკვეული პერიოდულობით, მიმდინარეობს საგანმანათლებლო რესურსების განახლება, თუმცა ამ მიზნით გამოყოფილი თანხა ხშირად არაა საკმარისი და ვერ აკმაყოფილებს არსებულ რეგულაციებს.[84] აღსანიშნავია ისიც, რომ რესურსებისთვის გამოყოფილი თანხები მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავებულია.

თემატურ მოკვლევაში ჩართულთა სრული უმრავლესობა მიუთითებს საგანმანათლებლო რესურსების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. როგორც მოკვლევაში აღინიშნება, შესაბამისი რესურსების არსებობა დადებითად აისახება როგორც კონკრეტული პროგრამების/კურიკულუმების და აქტივობების განხორციელების პროცესზე, ისე აღმზრდელების სამუშაო მოტივაციაზეც. მიღებული მოსაზრებების ავტორები ადასტურებენ, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რესურსების რეგულარული შეძენა/განახლება ადგილობრივ დონეზე საჭიროებების მოკვლევის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს ახალი რესურსების შეძენა, მოსაზრებების ავტორთა უმრავლესობა საგანმანათლებლო რესურსების არასაკმარის რაოდენობაზე საუბრობს. მუნიციპალიტეტების პასუხებიც ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო რესურსები ბაღებში არასაკმარისია და საჭიროებს აქტიურ და რეგულარულ განახლებას. ზოგიერთ ბაღში რესურსები ბოლო რამდენიმე წელია არ განუახლებიათ.

კვება, სანიტარია-ჰიგიენა

აღსანიშნავია, რომ კვებისა და ჰიგიენურ-სანიტარიული ნორმების დაცვის მიმართულებით ბოლო წლებში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეინიშნება. საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით გადაისინჯა და შეიცვალა მენიუ. ახალი სტანდარტის მიხედვით, კვება გახდა ოთხჯერადი. კვებასთან/სამზარეულო ბლოკთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მუნიციპალიტეტში შეტანილია და ინერგება ჰასპის HACCP (საფრთხის ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო წერტილები) სისტემა, რომლის შესაბამისადაც კადრები უკვე გადამზადებულია.

[82] საქართველოს სახალხო დამცველი, 2020, სპეციალური ანგარიში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგები.
[83] ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, 2017, მუხლი 13, სტანდარტი 3.
[84] კივიტას გეორგიკა, 2018-19, ბენჩმარკინგის კვლევა.

მიღებული მოსაზრების ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები მეტ-ნაკლებად დაცულია; მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ინფრასტრუქ-ტურული საბაზო მოთხოვნები დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მაინც გამოწვევად რჩება ცენტრალური გათბობის და წყალმომარაგების საკითხები. როგორც საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშშიც აღინიშნება, მუნიციპალიტეტების ნაწილში, საბავშვო ბაღებში კვლავაც ვერ ხერხდება სველი წერტილების აღსაზრდელთა რაოდენობისა და ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისად მოწყობა. ამასთანავე, საბავშვო ბაღების ნაწილში კვლავ გამოწვევად რჩება თბილი წყლით უზრუნველყოფის საკითხი.[85]

მრავალფეროვანი სერვისები

როგორც შემოსული მოსაზრებების ანალიზი აჩვენებს, მაღალმთიან და სოფლის ტიპის დასახლებებში ინფრასტრუქტურული გამოწვევების მოგვარების ძირითადი გზა მრავალფეროვანი ალტერნატიული სერვისების უზრუნველყოფაა, კერძოდ, აღმზრდელთა მობილური ჯგუფების, სკოლების ბაზაზე სკოლამდელი განათლების ჯგუფების და ა.შ.

ადამიანური რესურსები

თითოეული მოსაზრების ავტორი მიუთითებს კვალიფიციური ადამიანური რესურსების უდიდეს მნიშვნელობაზე ხარისხიანი საგანმანათლებო პროცესისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში დაწყებულია აღმზრდელ-პედაგოგების გადამზადება 66-საათიანი სავალდებულო ტრენინგ-მოდულით. მოკვლევის ანალიზისას, პროფესიულ გადამზადებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ გამოწვევად სახელდება გადასამზადებელ პროგრამებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა. მუნიციპალიტეტები მწირი ფინანსური რესურსების გამო ხშირად ვერ ახერხებენ შესაბამისი კადრების გადამზადებას. მათ შორის, ვერც ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

მოკვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობა საუბრობს კვალიფიციური კადრების დეფიციტზე; ამის განმაპირობებელი მიზეზებია:

- არსებული ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია
- მცირე ანაზღაურება
- მიგრაცია სოფლებიდან ქალაქებში
- წვდომის ნაკლებობა მოსამზადებელ და გადასამზადებელ პროგრამებზე
- საუნივერსიტეტო პროგრამების სიმცირე
- პროფესიის ნაკლებად პოპულარობა
- კადრების ნაკლები მოტივაცია.

ადამიანური რესურსების ნაწილში მნიშვნელოვანი გამოწვევაა კომპიუტერული კომპეტენციების დაბალი დონე. ეს საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდა თვითშეფასების პროცესში, როცა ბაღის პერსონალს თვითშეფასების კითხვარების ელექტრონული ფორმით შევსება მოუწია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, თუ მუნიციპალიტეტისა და ბაღების გაერთიანებები ბაღის პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვისას ამ მიმართულებასაც გაითვალისწინებს.

როგორც შემოსული მოსაზრებების ანალიზიდან ირკვევა, რიგ მუნიციპალიტეტებში, კადრების დეფიციტის გამო დარღვეულია ჯგუფებში კანონით დადგენილი აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა. მუნიციპალიტეტების ნაწილში დაკმაყოფილებულია, თუმცა რიგ მუნიციპალიტეტებში ამ დრომდე არ არის დაკმაყოფილებული ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილი არასაკონტაქტო საათის მოთხოვნაც, რომელიც გამოყოფილი იქნებოდა პროფესიული განვითარებისთვის, კურიკულუმით განსაზღვრული გეგმების შედგენისთვის და სხვ. შესაბამისად, საგანმანათლებლო პერსონალი რეგულარულად ვერ ახერხებს იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე, ითანამშრომლოს სხვა აღმზრდელებთან საგანმანათლებლო პროცესის

[85] საქართველოს სახალხო დამცველი, 2020, სპეციალური ანგარიში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგები.

დასაგეგმად და შესასრულებლად და ა.შ. როგორც მოკვლევიდან ვასკვნით, ჯგუფში ბავშვების გადაჭარბებული რაოდენობაც უარყოფით გავლენას ახდენს საგანმანათლებლო პერსონალის მოტივაციაზე.

მოსაზრებების ავტორთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ კადრებთან დაკავშირებული ყველა გამოწვევის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზია განსხვავებული ანაზღაურება მუნიციპალიტეტებს შორის, ზოგადად ანაზღაურების სიმცირე და ცენტრალურ დონეზე ერთიანი ანაზღაურების სისტემის განმსაზღვრელი რეგულაციის არქონა. მუნიციპალიტეტები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია ისეთი რეგულაციის შემუშავება და დამტკიცება, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პერსონალის სახელფასო მინიმუმს და პროფესიული განვითარების შესაბამის სახელფასო პოლიტიკას. ადამიანური რესურსების კუთხით, მოსაზრებების ანალიზმა აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტები კვალიფიციური კადრების დეფიციტს განიცდიან და ამ პრობლემის გამოსასწორებლად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ:

1. აღმზრდელ-პედაგოგებისთვის ერთიანი სახელფასო სისტემის და პროფესიული განვითარების სქემის შემუშავება ცენტრალურ დონეზე;
2. საუნივერსიტეტო პროგრამების რაოდენობის გაზრდა;
3. გადასამზადებელი რესურსების (ტრენინგები, კურსები, ქოუჩინგი) მრავალფეროვნება და მათზე მეტი ხელმისაწვდომობა;
4. გაზრდილი დაფინანსება, როგორც პერსონალის ანაზღაურების, ისე მომზადება/გადამზადების მიმართულებით;
5. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსები.

აღსანიშნავია, რომ შესაბამისი კადრების დეფიციტზე საუბრობს საქართველოს სახალხო დამცველიც, თავის სპეციალურ ანგარიშში - „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგები“.[86] ანგარიშში აღნიშნულია, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც საგანმანათლებლო პერსონალს ჯგუფში მხოლოდ ტექნიკური მოვალეობები აკისრია, მაგალითად, აღმზრდელები ალაგებენ, რეცხავენ ჭურჭელს და ა.შ. რაც ხელს უშლის მათი უპირველესი მოვალეობის შესრულებას - სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას.[87] ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ დაწესებულებებში დასაქმებული საგანმანათლებლო პერსონალი საჭიროებს კვალიფიკაციის ამაღლებას განსაკუთრებით ძალადობისა და რთული ქცევის მართვის, ასევე, ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

ინკლუზიური ადრეული და სკოლამდელი განათლება

ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება სრულად ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებს. მნიშვნელოვანია, როგორც ფიზიკური გარემოს, ისე საგანმანათლებლო პროცესის შინაარსის და პერსონალის კვალიფიკაციის მხრივ, ბაღებში სრულფასოვნად ინერგებოდეს ინკლუზიური განათლების პრინციპები. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტები, ასევე ავტორიზაციის სტანდარტი, მიუთითებს ინკლუზიური გარემოს და პროცესის უდიდეს მნიშვნელობაზე. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით, თითოეულ ბაღში უნდა იყოს დაცული უნივერსალური დიზაინის პრინციპები, რაც გულისხმობს გარემოს, შენობების ინფრასტრუქტურის მოწყობას/ადაპტაციას, საჭირო ტექნოლოგიებით აღჭურვას იმისთვის, რათა გარემო მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს ყველა ადამიანისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომელთაც აქვთ გადაადგილების სირთულე, სმენის ან მხედველობის დარღვევა და სხვ. უნივერსალური დიზაინი ასევე გულისხმობს კურიკულუმს, რომელიც ითვალისწინებს ყველა ბავშვის ინტერესსა და შესაძლებლობას, შეფასების სისტემასა და სწავლების მეთოდებს.[88]

როგორც შემოსული მოსაზრებების ანალიზი გვაჩვენებს, მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვა რიგ გამოწვევებთან არის დაკავშირებული: 1. საგანმანათლებლო პერსონალის (აღმზრდელების, ფსიქოლოგების, სპეციალური პედაგოგების)

[86] საქართველოს სახალხო დამცველი, 2020, სპეციალური ანგარიში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგები
[87] კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ, 2016, მუხლი 3
[88] ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, 2017, თავი1, მუხლი 2

დაბალი კვალიფიკაცია; 2. ცალკეულ მუნიციპალიტეტებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა იდენტიფიცირების მექანიზმების განუვითარებლობა, რაც ძალიან ართულებს საგანმანათლებლო პროცესში მათ ჩართვას; 3. მშობლების ცნობიერების დაბალი დონე ინკლუზიური განათლების მიმართულებით; 4. ინკლუზიური განათლების პრინციპების დასანერგად საჭირო საგანმანათლებლო, განმავითარებელი რესურსების სიმწირე ბაღებში; 5. ბაღების ნაწილის მიერ (როგორც ახალი, ისე ძველი) უნივერსალური დიზაინის პრინციპების დაუკმაყოფილებლობა, პანდუსების, შესაბამისი სველი წერტილების, ადაპტირებული რესურსების არარსებობა და ა.შ. თემატური მოკვლევის ფარგლებში ჩატარებულ ზეპირ მოსმენაზეც, საქართველოს სახალხო დამცველის, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს ინკლუზიური განათლების კუთხით არსებულ გამოწვევებზე, მათ შორის აღინიშნა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების გამოვლენის მექანიზმების შექმნა/გაძლიერების აუცილებლობა ადგილობრივ დონეზე. ყურადღება გამახვილდა მჭიდრო კოორდინაციის აუცილებლობაზე, როგორც პირველადი ჯანდაცვის სისტემასა და ინსტიტუციებს, ისე ზოგადი განათლების საფეხურზე არსებულ მულტიდისციპლინური გუნდის პროგრამას შორის.

ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე საუბრობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიც თავის სპეციალურ ანგარიშში - „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგები“, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლამდელი განათლების სფეროში საგრძნობი დადებითი ტენდენციების პარალელურად, არსებობს რიგი სირთულეები, რომელთა დაძლევაც მომავალში აუცილებელია და ხელს შეუწყობს სფეროს განვითარებას. ანგარიშში ინკლუზიის მიმართულებით გაანალიზებულ გამოწვევებს შორის სახელდება: კვალიფიციური კადრების დეფიციტი, ფიზიკური გარემოს ადაპტაცია, მშობელთა ცნობიერების დაბალი დონე. როგორც ანგარიშში ვკითხულობთ, „საბავშვო ბაღების 34%-ში ირიცხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელი, თუმცა მათგან მხოლოდ 14.2%-ს ჰყავს სპეციალური პედაგოგი. საბავშვო ბაღის თანამშრომელთა განცხადებით, აღნიშნული კადრის საჭიროება რეალურად, ბევრად დიდია, თუმცა ხშირ შემთხვევაში, თავად აღსაზრდელთა მშობლები არიან შვილებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მინიჭების წინააღმდეგნი“.[89]

თემატური მოკვლევის ფარგლებში შემოსული მოსაზრებების ანალიზმაც, და სამაგიდო კვლევამაც აჩვენა, რომ რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის, გაეროს ბავშვთა ფონდი, „ვორლდ ვიჟენ საქართველო“, „გადავარჩინოთ ბავშვები“, ბავშვის განვითარების ინსტიტუტი, „მაკ ჯორჯია“ და ა.შ. გარკვეული პერიოდულობით ახორციელებენ პროექტებს ინკლუზიური ადრეული და სკოლამდელი განათლების მხარდასაჭერად. თემატური მოკვლევის ფარგლებში ჩატარებულ ზეპირ მოსმენაზე აღინიშნა, რომ სფეროს მეტად განსავითარებლად, მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს, როგორც სამთავრობო უწყებების, ისე ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო სექტორის კოორდინირებულ მუშაობას.

ავტორიზაცია

ვინაიდან მუნიციპალიტეტებში თვითშეფასების პროცესი 2023 წელს დაიწყო, ეს მათთვის დიდი სიახლეა. მუნიციპალიტეტები აღნიშნავენ, რომ ავტორიზაცია დიდ როლს ასრულებს ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროს განვითარებაში, თუმცა აქვე იმ გამოწვევებზეც საუბრობენ, რაც თან ახლავს ავტორიზაციის პროცესს:

- ავტორიზაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის სიმწირე, ცნობიერების დაბალი დონე - როგორც ანალიზიდან ჩანს, საჭიროა მეტი ინფორმაცია მიეწოდებოდეთ და ავტორიზაციის პროცესში მეტი მხარდაჭერა ჰქონდეთ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს;
- არასაკმარისი ცოდნა და უნარები ავტორიზიციის პროცესში ჩასართავად - როგორც შემოსული მოსაზრებების ავტორები აღნიშნავენ, ბევრი ბაღის მენეჯერს/დირექტორს, აღმზრდელს, არ აქვს საკმარისი ცოდნა იმისათვის, რომ ელექტრონულად შეავსონ კითხვარები, მოამზადონ შესაბამისი სამოქმედო გეგმები და ა.შ. მნიშვნელოვანია მათი მეტად მომზადება ამ კუთხით;

[89] საქართველოს სახალხო დამცველი, 2020, სპეციალური ანგარიში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგები.

- არასაკმარისი ტექნიკური უზრუნველყოფა - მოკვლევაში ჩართულ პირთა გარკვეულ ნაწილში არ აქვთ კომპიუტერი, იმისათვის რათა შეავსონ თვითშეფასების კითხვარი. აღსანიშნავია, რომ ბაღების ნაწილი არ არის აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით.

როგორც მოკვლევის ანალიზი აჩვენებს, რეფორმის პირველი ეტაპის - თვითშეფასების კითხვარის შევსებისას გამოწვევებმა ძირითადად ორი მიმართულებით იჩინა თავი: 1. კვალიფიციური კადრები და 2. ინფრასტრუქტურა/საგანმანათლებლო რესურსები. მუნიციპალიტეტები აღნიშნავენ, რომ ამ გამოწვევების დაძლევა შესაძლებელია, თუ სახელმწიფო ცენტრალური დონიდან მიზნობრივად გაზრდის ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროს დაფინანსებას, რადგან ადგილობრივი ბიუჯეტი ამისთვის საკმარისი არაა; მათივე მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ცენტრალურ დონეზე ცალკეული რეგულაციების შემუშავება, მათ შორის, სახელფასო პოლიტიკა, ინფრასტრუქტურის ტექნიკური რეგლამენტი და ა.შ.

თავი 4

მოკვლევის პროცესში გამოვლენილი მიგნებები

მოკვლევის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და ზეპირი მოსმენებისას გამოთქმული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა მოკვლევის მიგნებები, რომლებიც შეეხება როგორც სკოლამდელი აღზრდის სფეროში არსებულ გამოწვევებს, ისე სფეროს განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს.

ინფრასტრუქტურა

მიგნება №1

ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა უკანასკნელი წლების განმავლობაში. აშენდა ახალი შენობები და გარემონტდა არსებული სივრცეები. უმნიშვნელოვანესია პრემიერ-მინისტრის ინიციატივა ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაციის შესახებ.

მიგნება №2

ახალი მშენებლობების/რეაბილიტაციის პროცესში რიგ მუნიციპალიტეტებში გამოწვევად რჩება ნაკლები კოორდინაცია პროცესში ჩართულ მხარეებს შორის. შედეგად, არის შემთხვევები, როდესაც ახლად რეაბილიტირებული სივრცე ვერ აკმაყოფილებს მოქმედ რეგულაციებს და სტანდარტებს.

მიგნება №3

მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში გაუმჯობესდა ბაღებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, თუმცა მუნიციპალიტეტების ნაწილში კვლავ რჩება ისეთი ფუნდამენტური პრობლემები, როგორიცაა ცხელი წყლისა და ცენტრალური გათბობის სისტემის არქონა.

მიგნება №4

ბაღების სიმცირე განსაკუთრებით შესამჩნევია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების ნაწილში, სადაც ბავშვების ნაწილს საერთოდ არ მიუწვდება ხელი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაზე. როგორც მოკვლევაში ჩართული მხარეები აღნიშნავენ, ასეთ ადგილებზე ახალი შენობების აშენებამდე, მნიშვნელოვანია დაინერგოს სკოლამდელი განათლების მრავალფეროვანი/ალტერნატიული სერვისები.

მიგნება №5

შეიმჩნევა დადებითი ტენდენცია ბაღების რეაბილიტაციის კუთხით, თუმცა მოკვლევა ადასტურებს, რომ რიგ მუნიციპალიტეტებში იკვეთება ინფრასტრუქტურის შეუსაბამობა ინკლუზიური განათლებისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპებთან. არ არის პანდუსები და არც ფიზიკური გარემოა ადაპტირებული.

მიგნება №6

მომავალში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების წარმატებით განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ასევე შენობა-ნაგებობის მოწყობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის არსებობა ცენტრალურ დონეზე.

ეზო

მიგნება №7

მოკვლევამ ცხადყო ეზოს უდიდესი მნიშვნელობა ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესისათვის, თუმცა აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების ნაწილში ეზოები/ეზოს ალტერნატიული სივრცეები არაა ფუნქციურად ისე მოწყობილი, რომ შეძლოს მოქმედი რეგულაციებისა და ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილება. ეს კი აფერხებს ეზოში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას.

მიგნება №8

არსებობს საბავშვო ბაღების ეზოების მეორადი და ბუნებრივი რესურსებით აღჭურვის კარგი, აპრობირებული პრაქტიკები (საერთაშორისო ასოციაცია „ვორლდ ვიჟენ“ საქართველო, კივიტას გეორგიკა). ამ პრაქტიკების გაზიარება ხელს შეუწყობს ეზოების მარტივად და ხარჯთეფექტიანად კეთილმოწყობას.

საგანმანათლებლო რესურსები

მიგნება №9

მოკვლევის თანახმად, საგანმანათლებლო რესურსებს უდიდესი როლი ენიჭება ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების წარმართვაში. მართალია, მუნიციპალიტეტებში აახლებენ საგანმანათლებლო რესურსებს, თუმცა მიღებული მოსაზრებების ავტორთა უმრავლესობა მაინც მიუთითებს მათ სიმწირეზე. მნიშვნელოვანია ბაღების საჭიროებების კვლევის რეგულარულად ჩატარება და მის საფუძველზე შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების (როგორც შიდა, ისე გარე მოხმარების) შეძენა.

მიგნება №10

მოკვლევა მიუთითებს საბავშვო ბაღების ადაპტირებული რესურსებით მეტად აღჭურვის საჭიროებაზე, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას.

ადამიანური რესურსები

მიგნება №11

როგორც მოკვლევის ფარგლებში შემოსული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში საგანმანათლებლო პერსონალის დეფიციტია, რაც ხელს უშლის კანონით განსაზღვრული, ბავშვისა და აღმზრდელის/აღმზრდელ-პედაგოგის თანაფარდობის დაცვას. მუნიციპალიტეტების ნაწილში, ბაღების ჯგუფებში მხოლოდ ერთი აღმზრდელი ან პერსონალი ასრულებს საგანმანათლებლო ფუნქციას, ნაცვლად ორი აღმზრდელისა ან აღმზრდელ-პედაგოგისა, რაც წინააღმდეგობაში მოდის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონთან.

მიგნება №12

მოკვლევამ აჩვენა, რომ მნიშვნელოვანია განისაზღვროს და დამტკიცდეს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების სქემა და ასევე, მათი შრომის ანაზღაურების საბაზო ზღვრული ოდენობა, რაც ხელს შეუწყობს ბაღების პერსონალის სრულფასოვნად დაკომპლექტებას.

მიგნება №13

როგორც მოკვლევაში მონაწილე პირების და უწყებების უმრავლესობა აღნიშნავს, მნიშვნელოვანია შეიქმნას და დაინერგოს პროფესიული განვითარების სხვადასხვა ფორმა და მოდელი ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში დასაქმებული საგანმანათლებლო პერსონალისთვის, მათ შორის, დირექტორებისთვის, მეთოდისტებისთვის და ა.შ.

მიგნება №14

ამჟამად საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა რეგიონში მდებარე სამ სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე აკრედიტებულია საბაკალავრო პროგრამა, ადრეული განათლების მიმართულებით. ამასთანავე, ორ უნივერსიტეტში მიმდინარეობს აკრედიტაციის პროცესი, თუმცა მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს მსგავსი პროგრამების განვითარებას სხვა უმაღლეს დაწესებულებებშიც.

მიგნება №15

მოკვლევაში ჩართული სუბიექტები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ და უშუალოდ ბაღის დონეზე, ხელი შეეწყოს მოქმედი რეგულაციებისა და სახელმწიფო სტანდარტების დანერგვას, მათ შორის აღმზრდელ-პედაგოგებს ჰქონდეთ თვითგანვითარების საშუალება, არსებობდეს სივრცე თანამშრომლობისთვის, აღმზრდელ-პედაგოგებს რეალურად ჰქონდეთ არასაკონტაქტო დროის გამოყენების საშუალება და ა.შ.

მიგნება №16

თვითშეფასების ეტაპზე გამოიკვეთა ბაღის პერსონალის დაბალი კომპეტენციები IT უნარების მიმართულებით, რაც, მათ შორის, განპირობებულია იმით, რომ ეს საკითხი არ არის გათვალისწინებული პერსონალის გადამზადების პროგრამებში.

ინკლუზიური ადრეული და სკოლამდელი განათლება

მიგნება №17

როგორც მოკვლევის ანალიზი გვაჩვენებს, მუნიციპალიტეტების ნაწილში არ არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების იდენტიფიცირების მექანიზმი.

მიგნება №18

როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, გამოიკვეთა ინკლუზიური განათლების კუთხით ცნობიერების ამაღლების კამპანიების ნაკლებობა.

მიგნება №19

როგორც მოკვლევიდან ჩანს, მუნიციპალიტეტების ნაწილში საგანმანათლებლო პერსონალს არ გააჩნია შესაბამისი პროფესიული კომპეტენციები საგანმანათლებლო პროცესის ინკლუზიური განათლების პრინციპებზე დასაფუძნებლად, რისი მეშვეობითაც უფრო ეფექტიანად იმუშავებდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან.

მიგნება №20

თემატურ მოკვლევაში მონაწილე მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში, ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში ჰყავთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, თუმცა არც ადამიანური და არც საგანმანათლებლო რესურსები არაა საკმარისი მათი სრულყოფილი ინტეგრაციისთვის.

მიგნება №21

ინკლუზიური განათლების მიმართულებით, როგორც სამთავრობო, ისე საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორის ინიციატივით, არაერთი პროგრამა და პროექტი მიმდინარეობს. ამ მხრივ, იკვეთება სექტორებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა.

ავტორიზაცია

მიგნება №22

მოკვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ავტორიზაციის პროცესის დაწყება დადებითად აისახა ადრეული და სკოლამდელი განათლების პროცესზე, შეიქმნა ახალი რესურსები და გადამზადდა კადრები. თუმცა, ამ მხრივ, ჯერ კიდევ რჩება გამოწვევები დაწესებულებების მხარდაჭერისა და კადრების გადამზადების კუთხით.

მიგნება №23

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 7 მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებები სრულადაა აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით. დანარჩენ მუნიციპალიტეტებში გამოწვევად რჩება კომპიუტერული ტექნიკის არქონა.

თავი 5

რეკომენდაციები

თემატური მოკვლევის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების, დასაბუთებული წერილობითი მოსაზრებებისა და ზეპირ მოსმენებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები განკუთვნილია ყველა იმ უწყებისათვის, რომელსაც გარკვეული ვალდებულება და უფლებამოსილება ეკისრება ადრეულ და სკოლამდელ განათლებასთან მიმართებით.

აღსანიშნავია, რომ მოკვლევის პროცესში არ გამოკვეთილა ისეთი საკითხი, რომელიც შეუსაბამო იქნებოდა ქვეყნის გაცხადებულ სახელმწიფო პოლიტიკასთან.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის ადრესატი	ვადა
	დაწესებულების ინფრასტრუქტურა		
1	დამტკიცდეს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონით (მე-7 მუხლი) გათვალისწინებული ნორმატიული აქტი დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შენობა-ნაგებობის მოწყობის ტექნიკური რეგლამენტის შესახებ.	საქართველოს მთავრობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2024-2025
2	უზრუნველყოფილ იქნეს მჭიდრო კოორდინაცია და თანამშრომლობა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების საფეხურებზე, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის (ბაღების გაერთიანებებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით).	საქართველოს მთავრობა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	რეგულარულად
3	ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონში გაჩნდეს ჩანაწერი ადრეული განათლების ალტერნატიული ფორმების შესახებ.	საქართველოს პარლამენტი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2025
	ადამიანური და საგანმანათლებლო რესურსი		
4	შემუშავდეს და დამტკიცდეს აღმზრდელ-პედაგოგის უწყვეტი პროფესიული განვითარების სქემა.	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2025-2026
5	საჭიროებების მოკვლევისა და არსებული რესურსების ეფექტიანობის შეფასების საფუძველზე, შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს დამატებითი სერვისები საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად.	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	რეგულარულად

6	უწყვეტი პროფესიული განვითარების სქემის საფუძველზე, განისაზღვროს და დამტკიცდეს აღმზრდელ-პედაგოგის ანაზღაურების საბაზო ზღვრული ოდენობა.	საქართველოს მთავრობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	2026
7	მუდმივად განახლდეს ელექტრონული პლატფორმა, რომელიც ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში არსებულ ყველა ტიპის სიახლეს, რესურსებსა თუ პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელ სხვადასხვა პროგრამას მოუყრის თავს.	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	რეგულარულად
8	საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადების მიზნით, მუნიციპალური ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოს ფინანსური რესურსები.	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	რეგულარულად
9	ხელი შეეწყოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამების დანერგვასა და განვითარებას.	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	რეგულარულად
10	განისაზღვროს დაწესებულებების საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის წესი (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის გათვალისწინებული).	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	2024-2025
ინკლუზიური ადრეული და სკოლამდელი განათლება			
11	შეიქმნას და განხორციელდეს პროგრამები და ტრენინგ-მოდულები საგანმანათლებლო პერსონალის ინკლუზიური განათლების კუთხით უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად.	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2024-2025
12	განხორციელდეს აქტივობები ინკლუზიური განათლების მიმართულებით მშობელთა და დაწესებულებების პერსონალის ცნობიერების ასამაღლებლად.	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	რეგულარულად
13	შემუშავდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა იდენტიფიცირების მექანიზმები.	საქართველოს მთავრობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2024-2025
14	განხორციელდეს ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების სრული მშენებლობა/რეაბილიტაცია ინკლუზიური განათლების პრინციპების/უნივერსალური დიზაინის სრული გათვალისწინებით.	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	რეგულარულად
დაწესებულების ავტორიზაცია			
15	აღიჭურვოს ადრეული და სკოლამდელი განათლების თითოეული დაწესებულება კომპიუტერული ტექნიკით.	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	რეგულარულად
16	მუნიციპალური ბიუჯეტით უზრუნველყოფილი იქნეს დაწესებულებების მხარდაჭერა ავტორიზაციის პროცესში გამოკვეთილი გამოწვევების აღმოსაფხვრელად.	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	2024-2028

შეჯამება

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ თემატური მოკვლევის ფარგლებში გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე, ანგარიშში წარმოდგენილია მოკვლევის ძირითადი მიგნებები და პასუხისმგებელი უწყებებისთვის წარსადგენად შემუშავებული 16 რეკომენდაცია. აღსანიშნავია, რომ თემატური მოკვლევის მსვლელობამ დიდი ინტერესი გამოიწვია დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს შორის - მაღალი იყო, როგორც წერილობით მოკვლევაში, ისე პირისპირ შეხვედრებში ჩართულობის დონე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოკვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა დადებითად ახასიათებს ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმას, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელებულ ინიციატივებს. როგორც წარმოდგენილი მოსაზრებებიდან, ისე სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გამართული შეხვედრებიდან კარგად ჩანს, რომ სფეროში მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება, რომელთა შედეგებიც დადებითად აისახება განათლების ხარისხზე. მოკვლევის ფარგლებში გამოკვეთილი და გაანალიზებული გამოწვევები და შესაბამისი რეკომენდაციები კი, საშუალებას იძლევა, მომავალში დაგეგმილი ინიციატივები მეტად კოორდინირებულად და სრულფასოვნად წარიმართოს, რათა ხელი შეეწყოს ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროს უწყვეტ განვითარებას ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის.